ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოსიკო კონცელიძე

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა სოფლის განვითარებასა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში

სამაგისტრო პროგრამა: სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

იაგო კაჭკაჭიშვილი, სრული პროფესორი;

თბილისი, 2018

სარჩევი

აბსტრაქტი 4

Abstract..... 6

შესავალი 7

კვლევის მეთოდოლოგია 14

1. სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ახალგაზრდებისთვის; ასოციაციები და განწყობები 19

2. სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე განვითარებადი და პერსპექტიული დარგები..... 22

3. ახალგაზრდების ჩართულობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში..... 27

4. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება 32

5. სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, როგორც ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო..... 41

6. წარმატებული ახალგაზრდა ფერმერების მაგალითები და მათი როლი სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციაში 43

7. სასოფლო-სამეურენო საქმიანობის პრესტიჟულობა ახალგაზრდებში 51

8. საქართველოს მოსახლეობის შემცირება, დაბერება და ურბანიზაციის მაღალი ხარისხი 55

9. ახალგაზრდების სოფლიდან ქალაქში მიგირირების ძირითადი მოტივაციები..... 56

10. ახალგაზრდების სოფლის მეურნეობით დაინტერესებისთვის აუცილებელი აქტივობები და ღონისძიებები 61

11. რა გავლენას იქონიებს ახალგაზრდების მოტივაციაზე სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება?..... 66

12. სოფლის მეურნეობის სექტორში ახალგაზრდების განსაკუთრებული როლის შეფასება..... 68

13. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის აუცილებელი უნარები და თვისებები 69

14. ახალგაზრდების და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება..... 70

15. სოფლის მეურნეობის დარგებში განათლების მიღების შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის..... 71

16. პოზიტიური გავლენის მქონე ინტერვენციები სოფლის მეურნეობის სფეროში 80

დასკვნა 95

რეკომენდაციები 104

გამოყენებული ლიტერატურა 108

აბსტრაქტი

სოფლის განვითარებაში ახალგაზრდების მონაწილეობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ყველა ქვეყნისთვის, თუმცა, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 42.8% ცხოვრობს სოფლად და 48.6% ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. პარადოქსულია, რომ სასოფლო–სამეურნეო კონტრიბუცია საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში არის დაახლოებით 9,1% (საქსტატი, 2015). საქსტატის მონაცემებით, 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 19%-ს შეადგენს და უკანასკნელი 10 წლის მანძილზე კლების ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით (2014), ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია **ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას,** სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ცდილობს უპასუხოს შეკითხვებს, თუ რამდენად აქვთ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს სრულფასოვანი განვითარების შესაბამისი გარემო, ახერხებენ თუ არა ისინი საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას, არიან თუ არა სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში ჩართულები, არიან თუ არა სოფლის განვითარებაზე ორიენტირებულები, რა დაბრკოლებები ხვდებათ ამ გზაზე, რა ფაქტორები განაპირობებს მათი მზაობის გაზრდას და ა.შ.

კვლევის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი - ფოკუს-ჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფების მონაწილე პირები იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ სოფელში ან არიან სოფლიდან ქალაქში მიგრირებულები. საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფები ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონში (შიდა ქართლი; ქვემო ქართლი; მცხეთა-მთანეთი; კახეთი და აჭარა). თითოეულ

რეგიონში ჩატარდა 2-2 ფოკუს ჯგუფი (სოფლის მაცხოვრებლებთან და ქალაქში მიგრირებულებთან). ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სოფლის მეურნეობის სფეროს ექსპერტებთან, რომლებიც წარმოადგენენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ისე საჯარო სტრუქტურებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ, ან რომლებიც რურალური სივრციდან ქალაქებში მიგრირდნენ, სოფლის მეურნეობასთან გარკვეული ბმა, სოციალურ–ეკონომიკური თვალსაზრისით, გააჩნიათ; თუმცა, ეს კავშირი ყველაზე ნაკლებად გამოიხატება სასოფლო–სამეურნეო საქმიანობებში უშუალო ჩართვით, არამედ, ძირითადად, გამოიხატება მათი ოჯახების მიერ წარმოებული სასოფლო–სამეურნეო პროდუციის მოხმარებით (როგორც ნატურალური, ისე პროდუქციის გაყდვიდან მიღებული შემოსავლების სახით). გაუმართავი რურალური ინფრასტრუქტურა და დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა, წარმოების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში, ბაზისური სოციალური და საგანმანათლებლო სერვისების ხელმიუწვდომლობა, ზოგადად ცხოვრების დაბალი სტანდარტები - სოფლის ცხოვრებაში მონაწილეობას არამიმზიდველს ხდის, არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის. კვლევაში გამოიკვეთა ის აქტივობები და ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში: აგრარულ სექტორში პროფესიული განათლების კერების რეგიონული ქსელის გაფართოება, აგრარული განათლების მქონე პირთა დასაქმებაში ხელშეწყობა და ა.შ.

Abstract

Youth involvement in agricultural development is a significant challenge for every country, but it has much more significance for Georgia where approximately 42.8% of the population lives in rural areas and 48.6% is involved in agricultural activities. It is paradoxical that agricultural contribution to Georgian gross domestic product is approximately 9.1% (Geostat, 2015). According to Geostat data, the share of people aged 15-29 is 19% of the total number of Georgian population and it has been characterized by a decreased tendency for the last 10 years. According to the youth policy document of the country (2014), **the goal of the youth policy is to support the creation of relevant environment for the valuable development of youth where the young people will be able to fully realize their potential and actively involve in every field of public life**. Presented master's thesis is trying to answer the questions about whether the young people living in rural areas have relevant environment for full development, whether they manage to fully realize their potential, if they are involved in agricultural activities, whether they are oriented on rural development, what obstacles they face on their way and what factors condition the raise of their willingness and etc.

Based on the goal and objectives of the research two methods of qualitative research were used – focus group and in-depth interview. The participants of the focus groups were young people living in a village or who migrated from village to city. In total focus groups were conducted in 5 regions of Georgia (Shida Kartli; Kvemo Kartli; Mtskheta-Mtianeti; Kakheti and Adjara.) 2 focus groups were conducted in each region (with rural residents and urban migrants). In-depth interviews were conducted with experts in the agricultural field who represented both, civil society and private organizations as well as public institutions.

The survey revealed that young people living in the village or who migrated from rural areas to the city have a certain link with agriculture in social-economic point of view;

However, this link is the least shown by direct involvement in agricultural activities but mainly is expressed by the consumption of the agricultural products produced by their families (both as natural product and as an income received from product sale)

Defective rural infrastructure and lack of employment opportunity, low level of production in agriculture, inaccessibility to basic social and educational services, low standards of living – make involvement in agriculture unattractive not only for young but for the economically active population.

The survey revealed the activities and events that will facilitate the involvement of young people in agricultural activities: expanding the regional network of vocational education in the agricultural sector, support the employment of people with agrarian education and etc.

შესავალი

საქართველოში ახალგაზრდობის პოლიტიკას თითქმის 25 წლიანი ისტორია გააჩნია. პირველ ფორმალურ სახელმწიფო სტრუქტურას ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი წარმოადგენდა, რომელიც 1994 წელს დაფუძნდა და პასუხისმგებელი იყო ახალგაზრდობის პოლიტიკის განავითარებასა და კოორდინაციაზე. დეპარტამენტის მუშაობის შედეგად რამდენიმე წარმატებული საკონონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტი შეიქმნა. მათ შორისაა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება #92 - „საქართველოს ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის შესახებ“ (12 მარტი, 2001) (არასდროს განხორციელებულა); მას შემდეგ, 2010 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა, რომლის საქმიანობამ მოიცვა ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პირველი სახელმწიფო დოკუმენტი 2012 წელს დამტკიცდა, რომელიც განახლდა 2014 წელს. ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდობა მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ აქტივად, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან,

დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას. დოკუმენტში მოცემული განმარტების მიხედვით, ახალგაზრდა არის 14-დან 29 წლის ჩათვლით ასაკის ადამიანი.[1] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პროფილის სამინისტროები ახალგაზრდობის ასაკის ზედა ზღვრად 35 წელს ასახელებენ, (ქალების შემთხვევაში ხანდახან 40 წელს). ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის ყოველმხრივი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, სრულად შეძლონ თავიანთი პოტენციალის გამოყენება და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის პოზიცია ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართ რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაში გამოვლინდა. მათ შორისაა „საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“ (2014), „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020“, „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია“ (2017), „რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017“ და ა.შ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციითა და შესაბამისი საერთაშორისო დონორებისა და ინსტიტუტების მონაწილეობით, როგორიცაა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) შემუშავდა საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის (2017-2020) მიხედვით, აგრარული სექტორის განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მდგრად განვითარებაში. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სოფელს აქვს სათანადო პოტენციალი, მიიღოს ინოვაციური, ინკლუზიური და მდგრადი

[1] საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/

გადაწყვეტილებები ისეთი მიმდინარე და სამომავლო სოციალური გამოწვევებისთვის, როგორებიცაა სიღარიბე, საკვების უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, რესურსების მენეჯმენტი და სოციალური ინკლუზია.[2] სტრატეგია ითვალისწინებს ინტეგრირებული პროგრამებისა და მულტისექტორული მიღწევების იმპლემენტაციას, რაც გახდება სოფლის პოტენციალის საფუძველი მრავალი სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად. ასეთი პოლიტიკის მიზანია ხელი შეუწყოს დივერსიფიკაციას და მეწარმეობას, ინვესტიციებს, ინოვაციებსა და დასაქმებას; დამატებითი ღირებულებებია სოფლის იდენტობისა და მდგრადობის გაზრდა, სოციალური ინკლუზია და ადგილობრივი განვითარება, ისევე როგორც ფერმებისა და სასოფლო თემების მდგრადობის გაზრდა. ასეთი მიდგომა საქართველოსთვის იქნება ის საქმიანობა, რომელიც გააუმჯობესებს სოფელში არსებულ საარსებო საშუალებებს და, ამავე დროს, დაიცავს ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტო (APMA), რათა გაეუმჯობესებინა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული პროექტების ეფექტურობა და ხელი შეეწყო სოფლის განვითარებისათვის. სააგენტოს მისიაა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სუბორდინირებული მეწარმეების მიერ ინიცირებული პროეტების განხორციელება და მართვა. ასევე, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შესახებ კანონის ამოქმედება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (ACDA) ჩამოყალიბება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაქმნელად მნიშვნელოვანი

[2] სოფლის გნვითარების სტრატეგია (2017-2020) - http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2017-2020.pdf

დონორების მხარდაჭერის კოორდინაცია, რაც იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. დონორი ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია ევროკავშირი და მის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამა – „ევროპული მეზობლობის პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ **ENPARD (EU).** ევროკავშირი უზრუნველყოფს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას საქართველოში ENPARD-ის მეშვეობით,. ENPARD-ის მთავარი მიზანია სოფლებში არსებული სიღარიბის შემცირება. პროგრამა დახმარებას უწევს მთავრობას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა იმუშაონ უშუალოდ თემებთან.

ზოგადად, ახალგაზრდების ჩართვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის და საქართველოც არ არის გამონაკლისი. მით უფრო თუ გავითვალისინებთ, რომ ბოლო წლებში საქართველოში დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოვლინდა. ერთი მხრივ, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა მცირდება, მეორე მხრივ, შეინიშნება მოსახლეობის დაბერება. საქსტატის მონაცემებით, მოსახლეობა 2004 წელს 4.3 მილიონ ადამიანს შეადგენდა, 2017 წლისთვის კი 3.7 მილიონამდე შემცირდა. 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 19%-ს შეადგენს და უკანასკნელი 10 წლის მანძილზე კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც არის მოსახლეობის დაბერების ინდიკატორი. გეოგრაფიული განაწილების თვალსაზრისით, ურბანიზაციის ტენდენცია თვალშისაცემია. ბოლო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით[3] (2014), მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ურბანულ დასახლებებში. ეს მაჩვენებელი 5%-ით მეტია, ვიდრე წინა აღწერაში იყო. იმავე აღწერის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა შეადგენს 1.11 მილიონ ადამიანს, რაც მთლიანი მოსახლეობის 30.5 %-ს შეადგენს და რაც დაახლოებით 5.2 %-ით მეტია, ვიდრე წინა აღწერის

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

მონაცემი. ამერიკელი სოციოლოგი ლუი ვირთი თავის ნაშრომში „უბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“ (Wirth,L 1938) აღნიშნავს, რომ მსოფლიო ურბანიზაციამ, სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია და ურბანული ცხოვრების წესი მხოლოდ ქალაქებით არ შემოიფარგლება. შეუძლებელია ქალაქებში მოსახლეობის პროცენტული წილის მიხედვით სრულად და მთლიანად გავზომოთ, თუ რა დონეზე შეესატყვისება თანამედროვე სამყაროს სახელი „ურბანული“. გავლენა, რომელსაც ქალაქები ახდენენ სოციალურ ცხოვრებაზე, მეტია ვიდრე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის თანაფარდობა ზოგადად მოსახლეობასთან, რადგან ქალაქი სულ უფრო და უფრო გადაიქცევა არა უბრალოდ ადგილად, სადაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მასტიმულირებელ და მარეგულირებელ ცენტრად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ ბოლო პერიოდში დაწყებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად ქალაქების ზრდა ჯერ არც თუ შორს წასულა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საშუალო შეფასება აკნინებს კიდეც იმ დონეს, რომელსაც ქალაქთა მოსახლეობის კონცენტრაციამ მიაღწია იმ ქვეყნებში, სადაც საწარმოო რევოლუციის გავლენა უფრო ძველი და მძლავრია. [4]

სოფლის განვითარების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის, თუმცა ამას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 42.8% ცხოვრობს სოფლად და 48.6% ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. პარადოქსულია, რომ სასოფლო სამეურნეო კონტრიბუცია საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში არის დაახლოებით 9,1% (2015)[5]. ძირითადი პრობლემები, რომლებიც განხილულია სოფლის

[4] Wirth, L. (1938). Urbanism as a Way of Life. The American Journal of Sociology. 44 (1), pp. 1-24.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

განვითარების სტრატეგიაში, ეხება სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას (24%-ით შემცირდა 2002-2014 წლებში), არასაკმარის ხელმისაწვდომობას განათლებასა და ჯანდაცვაზე, მწირ ინფრასტრუქტურას, სიღარიბეს და არასაკმარის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე, დასაქმების შესაძლებლობების სიმცირეს და ა.შ.

არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც სოფლად ახალგაზრდების დასაქმების დონეს გვიჩვენებს, თუმცა, სოფლის მოსახლეობის დაბერების პროცესი ნათელია. გამომდინარე იქედან, რომ, ერთი მხრივ, მცირემასშტაბიანი სასოფლო სამეურნეო საქმიანობა არ არის მომგებიანი და, მეორე მხრივ, დასაქმების ალტერნატივების სიმცირეა, მოსახლეობის ახალგაზრდა სეგმენტი ქალაქში მიგრირებს, უმეტესად – დედაქალაქში. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში ზოგადად არსებობს რეპუტაციის პრობლემა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. 2016 წელს ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შიდა მიგრაციის სურვილის სიხშირე მაღალია რეგიონულ ქალაქებსა და რურალურ დასახლებაში მცხოვრებ რესპონდენტებში. მაშინ, როცა თბილისში გამოკითხულთა მხოლოდ 1%–ს სურს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა (შიდა მიგრაცია). რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების 1/5 ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი განათლებისთვის და დასაქმების შესაძლებლობისთვის კარგი იქნება საცხოვრებელი ადგლის ცვლილება.[6] სოფლის მეურნეობის სექტორი არ არის მიმზიდველი მოსახლეობის ახალგაზრდა სეგმენტისთვის. აგრარული საქმიანობა ხშირ შემთხვევაში არჩევანი არ არის, არამედ, ერთადერთი გზაა სოფელში თავის შენახვისათვის. წლების განმავლობაში ახალგაზრდებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებთან დაკავშირებით მხოლოდ ნეგატიური მაგალითები ჰქონდათ.

[6] ფრიდრიხ ებერტის ფონდი (2016) ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო; გვ 47
http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf

ესპანელი სოციოლოგი მანუელ კასტელსი თავის შრომაში „ქსელური საზოგადოების წარმოშობა“ (Casttels, 2010) ურბანიზაციის პროცესის თავისებურებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ქსელური საზოგადოების გაჩენა არის იმ გლობალური ცვლილებების შედეგი, რომელიც დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციით 1970–იან წლებში. კასტელსის აზრით, ახალი ურბანული სამყარო ქსელური საზოგადოების ფორმირების პროცესში წარმოიქმნება; ეს უკანასკნელი კი ინფორმაციული ერის მახასიათებელს წარმოადგენს. კომერციული სოფლის მეურნეობა, უმეტესწილად, ავტომატიზებულია და გლობალურმა ეკონომიკამ მთელ პლანეტაზე მწარმოებლური ქსელების ინტეგრირება მოახდინა; ამდენად, მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობა უკვე ურბანულ სივრცეში ცხოვრობს და ეს ტენდენცია კიდევ უფრო მატულობს – ურბანული მოსახლეობა, სავარაუდოდ, ოცდამეერთე საუკუნის შუა ხანებისთვის მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე ნაწილს მოიცავს[7].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდობა, რომელიც ქსელური საზოგადოების ძირითადი აქტორია, სულ უფრო რეზისტენტული ხდება სასოფლო–სამეურნეო საქმიანობების მიმართ. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ზოგადად, რამდენად პერსპექტიული დარგია სოფლის მეურნეობა საქართველოში, რამდენად გამოიყენება ინოვაციები და სიახლეები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში და რა შედეგები მოიტანა სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების ინიციატივით სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებამ; ხედავენ თუ არა თავად ახალგაზრდები პერსპექტივას სოფლად ცხოვრებაში და რა გარემოებები უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ სოფლად ცხოვრება და სასოფლო საქმიანობაში ჩართულობა მიმზიდველი გახდეს მათთვის. განსაკუთრებით საინტერესოა იმ ახალგაზრების

[7]Castells M. (2011) The Rise of the Network Society https://deterritorialinvestigations.files.wordpress.com/2015/03/manuel_castells_the_rise_of_the_network_societybookfi-org.pdf

მოსაზრებები, ვინც მიგრირდა სოფლიდან ქალაქში სამუშაოს პოვნის მიზნით. აგრეთვე, საინტერესოა წარმატებული ახალგაზრდა ფერმერების შემთხვევების შესწავლაც, მათი საქმიანობის წარმატების მიზეზების კვლევა და იმის დადგენა თუ რამდენად შეიძლება მათი წარმატება მისაბაძი სოციალური პრაქტიკა გახდეს სხვა ახალგაზრდებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანი** იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში ახალგაზრდების ჩართულობის შესწავლა საქართველოში.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ქვეყანაში ყველაზე განვითარებადი სოფლის მეურნეობის დარგების იდენტიფიცირება და მათ მიმართ ახალგაზრდების დაინტერესების შესწავლა;
- ახალგაზრდების კონკრეტული საჭიროებებისა და ჩართულობის შესაძლებლობების დადგენა სოფლის მეურნეობის სფეროში, სოფლის განვითარების კონტექსტში;
- წარმატებული ინიციატივების (პროგრამები, პროექტები) იდენტიფიცირება, რომლებმაც ახალგაზრდებზე პოზიტიური გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის, საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო დონეზე;
- სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდების მონაწილეობის წარმატებული შემთხვევების (ქეისების) იდენტიფიცირება;
- რეკომენდაციების შემუშავება ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლებისთვის სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართვის და სოფლის განვითარებაზე ზრუნვის თვალსაზრისით.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი - **ფოკუს ჯგუფები** და **ჩაღრმავებული ინტერვიუები.**

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ახალგაზრდებთან (18-29 ასაკობრივი ჯგუფის), ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუები - სოფლის მეურნეობის სფეროს ექსპერტებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ისე საჯარო სტრუქტურებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილე პირები იყვნენ მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ სოფელში ან არიან სოფლიდან ქალაქში მიგრირებულები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა დაიყო ორ ნაწილად: ხუთ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდების იმ სეგმენტმა, რომელმაც ცხოვრების რაღაც პერიოდში დატოვა სოფელი და საცხოვრებლად გადავიდა ქალაქში, ხოლო დარჩენილი 6 ფოკუს ჯგუფის მონაწილეები იყვნენ ის ახალგზრდები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში და მათი ოჯახების საქმიანობის მთავარი სფერო არის სოფლის მეურნეობა. თითოეულ ფოკუს ჯგუფში ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა იყო დაბალანსებული. რესპონდენტები არ იყვნენ ერთმანეთის ნათესავები, ან ერთი და იგივე თემის წევრები. სამიზნე ჯგუფების შემადგენლობაში მოხვდნენ ეკო-მიგრანტები, დევნილები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. ეკო-მიგრანტების და დევნილების ფოკუს ჯგუფში, ეკო-მიგრანტები და დევნილები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. სოფლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებიდან თითოეულში მონაწილეობა მიიღო მინიმუმ სამი სოფლის წარმომადგენელმა პირებმა. საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში მიგრირებული მიგრანტების ასაკი იყო მინიმუმ 20 წელი. ამ კრიტერიუმის დაცვა მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც კვლევას აინტერესებდა ის ახალგაზრდები, რომლებსაც სოფელში ცხოვრების პერიოდში მიღებული ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო სფეროში.

ფოკუს ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო ეკო-მიგრანტებთან და დევნილებთან - აჭარის რეგიონში.

საერთო ჯამში, ფოკუს ჯგუფებში დისკუსიები ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონში, სადაც თითოეულ რეგიონში 2-2 ფოკუს ჯგუფი (სოფლის მაცხოვრებლებთან და ქალაქში მიგრირებულებთან) შედგა. დამატებით, აჭარის რეგიონში ჩატარდა მესამე ფოკუს ჯგუფი, რომელშიც სოფლად მცხოვრებმა ეკო-მიგრანტებმა და დევნილებმა მიიღეს მონაწილეობა (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1

#	ფოკუს ჯგუფი	რეგიონი	სოფლები
1.	ეკო მიგრანტებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	აჭარა	აჭარისწყალი; ფერია; სალიბაური; მახო; სკვანა; კიბე; ჩაისუბანი;
2.	ქალაქ ბათუმში აჭარის სოფლებიდან მიგრირებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	აჭარა	ჭარნალი; სკვანა; მახვილაური; ახალსოფელი; ნიგაზეული; მუხაესტატე;
3.	აჭარაში სოფლად მაცხოვრებლი ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	აჭარა	თხილნარი; ნიგაზეული; ჭარნალი; ახალსოფელი;
4.	ქალაქ თელავში კახეთის სოფლებიდან მიგრირებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	კახეთი	კურდღელაური; ვარდისუბანი; ნასამხრალი; შალაური; ქისტაური; წინანდალი; გულგულა;

#	ფოკუს ჯგუფი	რეგიონი	სოფლები
5.	კახეთის რეგიონში სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ფოკუს ჯუფი	კახეთი	ართანა; გულგულა; ქისტაური; შალაური;
6.	ქვემო ქართლის რეგიონში სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	ქვემო ქართლი	თაზაქენდი; ალგეთი; ჯანდარი;
7.	ქალაქ მარნეულში ქვემო ქართლის სოფლებიდან მიგრირებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	ქვემო ქართლი	ალგეთი; ყიზილაჯლო; თაზაქენდი;
8.	დუშეთში მცხეთა-მთიანეთის სოფლებიდან მიგრირებული ახლაგაზრდების ფოკუს ჯგუფი	მცხეთა-მთიანეთი	კობიაანთკარი; დიდებაანთკარი; ბაზალეთი; ტონჩა; არაგვისპირი; ჩანადირთკარი; ფასანაური;
9.	მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	მცხეთა-მთიანეთი	ბაზალეთი; ხილიანი; ტონჩა; თიანეთი; საფრამული
10.	ქალაქ გორში შიდა ქართლის სოფლებიდან მიგრირებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	შიდა ქართლი	დიცი; ურბნისი; გარეჯვარი; ახალდაბა; ხიდისთავი; ჯარიაშენი; რუისი;
11.	შიდა ქართლის რეგიონის	შიდა	ხიდისთავი; რუისი; სკრა;

#	ფოკუს ჯგუფი	რეგიონი	სოფლები
	სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი	ქართლი	ტაშისკარი; ქვიშხეთი; კარიაშენი;

ამ რეგიონების შერჩევის მთავარი მიზეზი იყო თითოეულ მათგანში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ტიპის გავრცელება (მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, აჭარის რეგიონი ლიდერობს ციტრუსის წარმოებაში, კახეთი მევენახეობასა და მეღვინეობაში, ქვემო ქართლის სასოფლო სამეურნეო საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული შინაურ საქონელთან, პირუტყვთან, და ა.შ.). რეგიონებს შორის არსებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების ასეთი სხვადასხვაობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კვლევისთვის რელევანტური ინფორმაცია დაუკავშირდეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროს.

ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული (ექსპერტული) ინტერვიუები ჩატარდა სოფლის მეურნეობის ექსპერტებთან და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებთან, რომლებიც მუშაობენ როგორც სამთავრობო ინსტიტუციებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში ექსპერტები მონაწილეობას იღებდნენ სოფლის მეურნეობის იმ წარმატებულ პროექტებსა და პროგრამებში, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდების ადგილობრივი თემები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელ ექსპერტებთან:

- ტიტე არაშიძე - „დემოკარტიის ინსტიტუტი“, პროექტების მენეჯერი, აჭარა;

- ნოდარ ხოხაშვილი - სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის დარგობრივი განვითარების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- თამარ თორია - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
- ირაკლი ჟორჟოლიანი - ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდის დირექტორი; ყოფილი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ინგა ლაგოშვილი - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტების განვითარების მენეჯერი;

1. სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ახალგაზრდებისთვის; ასოციაციები და განწყობები

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, როგორც სოფელში, ისე ქალაქში მაცხოვრებლებს, სოფლის მეურნეობის ხსენებაზე ძირითადად ის დარგები ახსენდებათ, რაც მათ რეგიონებში ისტორიულად ტრადიციულ მეურნეობებს წარმოადგენს: ციტრუსი - აჭარაში, მევენახეობა და მეღვინეობა - კახეთში, ბოსტნეული კულტურები ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ქვემო ქართლში, მესაქონლეობა - მცხეთა-მთიანეთში, ხოლო მეხილეობა - შიდა ქართლში.

სოფლის მეურნეობის შედარებით ახალ მიმართულებებზე, რომლებიც ექსპერტებმა დაასახელეს, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ყურადღება არ გაამახვილეს, თუ არ ჩავთვლით მეთხილეობასა და მეფუტკრეობას. მონაწილეებს, მაგალითად, არ უხსენებიათ ლურჯი მოცვი, ჩირი, დაფნა, უეკლო მაყვალი და სხვა კულტურები, რომელთა ექსპორტის მაჩვენებლებიც, კვლევაში მონაწილე ექსპერტების აზრით, ყოველწლიურად იზრდება და სოფლის მეურნეობაში განვითარებად დარგებად მიიჩნევა.

- *„ის დარგებია პერსპექტიული, რომელთაც აქვთ საექსპორტო პოტენციალი, ასეთი პროდუქტებია: თაფლი, კენკრა, ხილი, თხილი, მათ შორის არის ე.წ. ნიშური პროდუქცია, რასაც ორგანულს ვეძახით, დაფნა, ლურჯი მოცვი და ა.შ.“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

სოფლის მეურნეობის ხსენება უარყოფით ასოციაციებს უფრო მეტად ქალაქში მიგრირებულ ახალგაზრდებში იწვევს. მათთვის სოფლის მეურნეობა უმეტესად უპერსპექტივო საქმიანობასთან, შრომატევად და მძიმე ფიზიკურ შრომასთან ასოცირდება.

- *“პირველ რიგში, მახსენდება დაუღალავი შრომა და ჯაფა, რომელიც არ იცი, რა შედეგს მოგიტანს” (ქ. გორში მცხოვრები ახალგაზრდები)*
  - „ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო... ის შრომა, რასაც სოფლის მეურნეობაში დებ, სხვა რამეში რომ ჩადო, შეიძლება უფრო დაგიფასდეს“ (მარნეულში მცხოვრები ახალგაზრდა).

ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდების ნაწილისთვის, სოფლის მეურნეობა დროის სასიამოვნოდ გატარებასთან და განტვირთვასთან ასოცირდება.

- *„ჩემთვის სოფლის მეურნეობასთან ასოცირდება შემოდგომის პერიოდი, როდესაც ხილს ვკრეფთ, ამ დროს მხიარულებაა“ (ქ. გორში მცხოვრები ახალგაზრდა).*

ნეგატიურ ასოციაციებს იწვევს სოფლის მეურნეობა სოფელში მაცხოვრებელი ახალგაზრდების ნაწილშიც.

- *„ჩემთვის სოფლის მეურნეობა შრომასთან და წვალებასთან ასოცირდება“ (გორის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა).*

მძიმე ფიზიკური შრომის გარდა, სოფელში მაცხოვრებელი ახალგაზრდებისთვის სასოფლო-სამეურენო საქმიანობა დიდ დანახარჯებთანაც ასოცირდება.

- *„მახსენდება ხარჯი, რაც უჯდება გლეხს მოვლისთვის, ძალიან ბევრია და ძალიან მძიმე შრომის შედეგია“ (სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა, აჭარა).*

თუმცა, სოფელში მაცხოვრებელი ახალგაზრდების სხვა ნაწილითვის, სოფლის მეურნეობა პოზიტიურ შედეგებთან ასოცირდება, როგორებიცაა:

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანა;

- *„მე ვცხოვრობ სოფელში, ჩემი ოჯახის საარსებო და შემოსავლის წყარო არის სოფელი, მასზე ვართ დამოკიდებულები. უნდა იყო ძლიერი გლეხი, თუ გინდა რომ გადარჩე“ (გორი, სოფლის ახალგაზრდა)*

- *„მე მახსენდება ადგილი, სადაც ვმუშაობ. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ჩემს საქმიანობას“.(სოფლის ახალგაზრდა, მარნეული)*

სოფლის მეურნეობის მიმართ პოზიტიური ან ნეგატიური ასოციაციები ახალგაზრდებში განპირობებულია იმით, თუ რამდენად ხდება სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია და რამდენად კონკურენტულია ეს პროდუქცია. შესაბამისად, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში, სოფლის მეურნეობის იმ დარგების მიმართ გამოვლინდა პოზიტიური ასოციაციები, რომელთა:

- პროდუქციის რეალიზაცია და, მათ შორის, საზღვარგარეთ ექსპორტი ნაკლებად პრობლემურია. მაგალითად, ასეთია მეღვინეობა;
- პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას უწევს იმპორტირებულს, მაგალითად, ციტრუსი, ხილი და სხვა.

2. სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე განვითარებადი და პერსპექტიული დარგები

ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება დამოკიდებულია პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებზე, და იმაზე, თუ რამდენად გააჩნია დარგს საექსპორტო პოტენციალი.

- *„თუ ვაფასებთ სოფლის მეურნეობას როგორც მომგებიან საქმიანობას და ბიზნესზე ორიენტირებულს, მაშინ დარგს მათ შორის უნდა ჰქონდეს ესქპორტის პოტენციალიც“ (ფერმერთა ასოციაცია)*

კვლევაში ჩართული ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სოფლის მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებიც შედარებით ახალია საქართველოში და რაშიც, მათი აზრით, ახალგაზრდებს შესაძლოა ჰქონდეთ განსაკუთრებული როლი, ვინაიდან, ახალგაზრდები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას პირველ რიგში უყურებენ როგორც ბიზნესს.

- *„ახალგაზრდა უფრო მარტივად დამყოლია, უფრო მეტად მოტივირებულია, უფრო მეტად ინიციატივიანია და ერთვება ისეთ დარგებში, რასაც აქვს საექსპორტო პოტენციალი და არის ცალსახად მომგებიანი“ (ფერმერთა ასოციაცია).*

ის ახალგაზრდები, რომლებიც სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები, ცდილობენ რესტრუქტურიზაცია მოახდინონ არსებული დარგების და ძველი ახლით ჩაანაცვლონ, სადაც ტექნოლოგიები ჭარბობს, სადაც პროდუქციის რეალიზაციის უფრო მეტი შესაძლებლობებია და, შესაბამისად, მოგების მიღების შანსიც მეტია.

- *„მეღვინეობა რასაკვირველია ძველი ტრადიციული დარგია საქართველოში, მაგრამ ახალია აჭარისთვის და მისი წარმოების ტექნოლოგიები ბოლო პერიოდში დაიხვეწა, ნახა ხალხმა, რომ მოგებაც არის. მაგალითად, ასეთია ჩხავერი, რომელიც ქედაში მოდის და იშვიათი ჯიშია“ (დემოკრატიის ინსტიტუტის წარმოამდგენელი, ბათუმი).*

როგორც ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოვლინდა, მეღვინეობა წამყვანია სოფლის მეურნეობის დარგებს შორის საქართველოში, შესაბამისად, მეღვინეთა ასოციაცია ყველაზე წარმატებული და ძველი ასოციაციაა, სოფლის მეურნეობაში არსებულ სხვა ასოციაციებთან შედარებით.

- *„ეს ისეთი დარგია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ვფარავთ, ვინაიდან ამ დარგში ჩართვის ყველაზე ნაკლები საჭიროებაა დამატებითი სუბსიდირების თვალსაზრისით“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოვლინდა კიდევ ერთი დარგი - მეცხვარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში ერთ–ერთი წამყვანი დარგია.

- *„ბოლო წლებში დიდი მოთხოვნაა ცხვარზე, რომლის ექსპორტიც ხორციელდება არაბეთის ქვეყნებში. ამ სფეროში დასაქმებულები წლევანდელი წლით ძალიან კმაყოფილები არიან ფასებით“ (სოფლის მეურნეობის სამინისტრო).*

ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოს შესაძლებლობა აქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია აწარმოოს, თუმცა, ვიდრე ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარება არ გაუმჯობესდება და მოსახლეობას არ ექნება შესაძლებლობა, უფრო მაღალი ფასი გადაიხადოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაში, მანამდე გათვლა უნდა გაკეთდეს პროდუქციის საზღვარგარეთ ექსპორტირებაზე.

- *„დღეს ქვეყანა მზად არ არის, რომ ბიოპროდუქტში მაღალი ფასი გადაიხადოს, მაგრამ თუ კი ამ პროდუქტს საექსპორტოდ აწარმოებ, ეს იქნება ძალიან მომგებიანი“ (სოფლის მეურნეობის სამინისტრო).*

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა სოფლის მეურნეობის შემდეგი პოტენციური დარგები დაასახელეს.

- მეღვინეობა;
- მეფუტკრეობა;
- მეხილეობა (განსაკუთრებით კენკროვანი კულტურები - უეკლო მაყვალი, მოცვი, ჟოლო, კენკრა და აშ.);
- აგროტურიმზი;
- მეთხილეობა;
- მეცხვარეობა;
- ქართული სურნელის წარმოება;
- მეჩირეობა;

ექსპერტებისგან განსხვავებით, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმეტესობას, შეკითხვაზე, სოფლის მეურნეობის რომელ დარგებს აქვთ პერსპექტივა იმ რეგიონებში, სადაც ცხოვრობენ, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები ახსენდება (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და ა.შ.) და მოცემულ დარგებში არსებული გადაუწყვეტელი პრობლემები, რომელთა მოგვარების გარეშეც, მათი აზრით, სოფლის მეურნეობას განვითარების პერსპექტივა ვერ ექნება. ეს მოსაზრებები დომინირებდა ორივე - როგორც სოფლის, ისე ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდების - სამიზნე ჯგუფში.

სოფელში მაცხოვრებელ ახალგაზრდებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ახალგაზრდები სოფლის მეურნეობის განვითარებას, ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ ხედავენ, და ფიქრობენ,

რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შემოსავლიანი საქმიანობა უფრო მეტად იმ შემთხვევაში გახდება, თუ განვითარდება აგროტურიზმი.

- *„ვიცით, რომ მიწათმოქმედება არის სეზონური, ამიტომ მეთევზეობას რომ მივყვეთ უკეთესი იქნება, იმიტომ, რომ ტურიზმი ვითარდება და რესტორნების ქსელები იზრდება, განსაკუთრებით ჩვენ მხარეში, ყველა ფეხის ნაბიჯზე რესტორნებია და თუ შენ მისაღებ პროდუქტს აწარმოებ, ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი რაოდენობით მოიხმარენ. ძირითადად მუსლიმები შემოდიან ჩვენ მხარეში და თევზი უფრო მისაღებია მათთვის, ასეთ შემთხვევაში დიდად მომგებიანია ეს საქმე, ვიდრე მეცხოველეობა (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მაცხოვრებელი)“.*

ახალგაზრდები პერსპექტიულ დარგად თვლიან მეფუტკრეობასაც, ვინაიდიან, მეფუტკრეობა, მათი აზრით, ნაკლებ ფიზიკურ შრომასთან არის დაკავშირებული და აგრეთვე ნაკლებად დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზეც: *„ჩვენთან, ძირითადად მეხილეობაა განვითარებული, და დამოკიდებული ხარ გარეფაქტორებზე, რაც მეფუტკრეობის შემთხვევაში ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს“ (გორი, ქალაქის მაცხოვრებელი).* კიდევ ერთ პერსპექტიულ დარგად ახალგაზრდებმა მევენახეობა დაასახელეს. მათი აზრით, მევენახეობას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მისი რეალიზაცია მრავალმხრივ არის შესაძლებელი: *„მევენახეობას აქვს ბევრი პლიუსი - ყურძენსაც გაყიდი, ღვინოსაც დაწურავ, შეგიძლია ღვინის ნარჩენიც გამოიყენო, ჭაჭა გამოხადო და გაყიდო“ (გორის მუნიციპალიტეტი სოფლის ახალგაზრდები).*

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფებში სოფლის მეურნეობის შემდეგი პოტენციური დარგები დასახელდა:

- სათევზე მეურნეობა;
- ე.წ. ნიშური პროდუქცია (მაგალითად, დამბალხაჭო, მაყვლის ფოთლები, დეკა, ასკილი და ა.შ);
- მეფუტკრეობა;

- ერთწლიანი კულტურები (ბოსტნეული, მწვანილი და ა.შ.);
- მეხილეობა;
- მევენახეობა;

როგორც სოფლებში, ისე ქალაქში მაცხოვრებელი ახალგაზრდების მოსაზრებები ამა თუ იმ დარგის პერსპექტიულობის შესახებ, მათ პირად დაკვირვებას და გამოცდილებას ეფუძნება, და არ ეყრდნობა კვალიფიციურ ცოდნასა თუ ანალიზს. ახალგაზრდება იციან, რა გამოწვევების წინაშე დგას სოფლის მეურნეობის დარგები, მაგრამ ნაკლები წარმოდგენა აქვთ იმის თაობაზე, თუ რა გზებითაა შესაძლებელი გამოსავლის პოვნა. ამიტომ, მათი პრეტენზიების მთავარი ადრესატი სახელმწიფოა, რომელმაც, რესპონდენტების აზრით, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავზე და მოაგვაროს ფერმერების წინაშე არსებული პრობლემები - ***„სახელმწიფოსგან ჩვენ გვჭირდება მეტი ყურადღება“ (გორის მუნიციპალიტეტის სოფლის მაცხოვრებელი“).***

3. ახალგაზრდების ჩართულობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო მეტად არიან ჩართულები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში, ვიდრე ქალაქში მაცხოვრებლები. თუმცა ის ახალგაზრდები, რომლებიც ქალაქში გადავიდნენ საცხოვრებლად, ან ქალაქში არიან დასაქმებულები, მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სასოფლო საქმიანობასთან, ვინაიდან:

- სოფლის მეურნეობიდან მიღებული პროდუქცია მეტწილად უზრუნველყოფს ახალგაზრდების და მათი ოჯახების ყოველდღიურ მოთხოვინელებებს ძირითადად საკვების სახით;
- ახალგაზრდებისთვის და მათი ოჯახებისთვის სოფლის მეურნეობიდან მიღებული პროდუქცია შემოსავლის ძირითად წყაროს თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც წარმოადგენს, რითაც, მაგალითად, სწავლის გადასახადს იხდიან;

ორივე სამიზნე ჯგუფის შეფასებით, ახალგაზრდები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში მეტ-ნაკლებად, ან თითქმის არ არიან ჩართულები; ეს შეფასება დომინირებდა ყველა ფოკუს ჯგუფში; მხოლოდ მონაწილეთა მცირე ნაწილმა თქვა, რომ ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები სოფლის საქმეებში;

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში ნაკლები ჩართულობის, ან ჩაურთველობის მიზეზად, ახალგაზრდებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში შემდეგი ფაქტორები დასახელდა:

- **სოფლის მეურნეობის დარგების უპერსპექტივობა;**[8]

[8] იხილეთ თავი: სოფლის მეურნეობის დარგებში არსებული პრობლემები და გამოწვევები.

- **სოფლების ადგილმდებარეობა.** ქალაქთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე სოფლის მოსახლეობა ნაკლებ ინტერესს იჩენს სოფლის მეურნეობის მიმართ, ვინაიდან დასაქმების ძირითად ადგილად ქალაქს განიხილავენ: *„ქალაქთან ახლოს ვინც ცხოვრობს, ისინი საქმდებიან ქალაქში. მოსავალს და ნაკვეთებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ“ (ქალაქ თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).*
- **არაპრესტიჟულობა.** სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არაპრესტიჟულ საქმიანობად არის მიჩნეული როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსებშიც.
- *„სკოლაში სწავლის დროს მინდოდა, რომ უნივერსიტეტში მესწავლა აგრონომია და ამის შემდეგ დავბრუნებულიყავი სოფელში. თუმცა, ჩემს მშობლებს არ მოეწონათ ჩემი გადაწყვეტილება, ვინაიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებას არაპრესტიჟულად თვლიან“ (სოფლის ახალგაზრდები, მარნეულის მუნიციპალიტეტი).*

კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდების ჩართულობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ რა დამოკიდებულება აქვს მშობელს სოფლის საქმეებში საკუთარი შვილის ჩართულობასთან დაკავშირებით.

- *„დედაჩემი დილიდან საღამომდე მუშაობს მიწაზე და მეცოდება, რადგან არ უფასდება შრომა. ამიტომ, მასაც და მეც არ გვინდა ამ საქმიანობით დავკავდეთ“ (მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფლის ახლაგაზრდა)*

- **ფიზიკური შრომის მიუღებლობა.** ახალგაზრდების ნაწილის აზრით, ფიზიკური შრომა მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია, როცა სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში ახალგაზრდების ჩართულობაზეა საუბარი- *„ფიზიკური შრომა ეზარებათ. დილით ადრე უნდა ადგეს, 5 -ზე ან 6 -ზე, ახალგაზრდა ასე ადრე არ ადგება და არ წავა მიწაზე სამუშაოდ“ (ქალაქ თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).*

- **სოფლის მეურნეობის მიმართ ინტერესის არქონა**; კვლევაში ჩართული ახალგაზრდების ნაწილი მიიჩნევს, რომ რაც არ უნდა პერსპექტიული და განვითარებული იყოს სოფლის მეურნეობის დარგები, ახალგაზრდას, შესაძლოა, მაინც არ გაუჩნდეს ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართ.

  - *„იქნებ ახალგაზრდას სხვა გზის არჩევა სურს, სწავლა უნდა და არა სოფლის მეურნეობაში ჩართვა, სხვა ნიჭი აქვს, რისი გამოვლენაც სურს, რადგან სოფელში დაიბადე, თვითმიზანი არ უნდა იყოს სოფლის საქმით დაკავება“ (ქ. გორში მცხოვრები ახალგაზრდა).*

ის ახალგაზრდები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში **მეტ-ნაკელბად არიან ჩართულები**, მათ ჩართულობას განაპირობებს:

- ოჯახებისთვის ყოველდღიური გამოკვებისთვის აუცილებელი შრომა, რაშიც ახალგაზრდებს წვლილი მნიშვნელოვანია - ***„სოფლის მეურნეობა გვაძლევს ყოველდღიურ საკვებს, რაც ოჯახს სჭირდება გამოკვებისთვის და ახლაგაზრდა გვერდით ვერ დადგება“*** *(სოფლად მცხოვრები ეკომიგრანტების/დევნილების ჯგუფი, ბათუმი)*
- ახალგაზრდების ვალდებულება, რომ დაეხმარონ მშობლებს/ოჯახის წევრებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში - ***„შეიძლება ახლაგაზრდას არ უნდოდეს, მაგრამ ვალდებული იყოს, უარს მშობელს ვერ ეტყვის, რაც არ უნდა იყოს“*** *– (სოფლის ახალგაზრდები, დუშეთი)*

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების **მცირე ნაწილის აქტიურ ჩართვას** სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში შემდეგი ფაქტორები განაპირობებს.

- ესაა ახალგაზრდები, რომელთა ოჯახებიც ტრადიციულად მისდევენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს და მათთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს:

- „ის ოჯახები, რომლებიც ტრადიციულად ძლიერები არიან სოფლის მეურნეობაში, ამ ოჯახის ახლაგაზრდებიც დაინტერესებულები არიან სოფლის საქმეებით, რადგანაც აქვთ შემოსავალი“ (სოფლის ახალგაზრდა, თელავის მუნიციპალიტეტი);

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ერთვებიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც დააგროვეს გარკვეული ცოდნა და საქმიანობის დასაწყებად გააჩნიათ ფინანსური კაპიტალი.

- „ჩემს გარშემოც არიან ბიჭები, რომლებსაც ცოდნა და გეგმები აქვთ ვენახის გაშენებასთან დაკავშირებით. აქვთ ასვე ინტერესი, რომ თავიანთი მეურნეობა ჰქონდეთ“ (სოფლის ახალგაზრდა, თელავის მუნიციპალიტეტი.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ტენდენცია, რომ კახეთი და ქვემო ქართლი ის რეგიონებია, სადაც ახალგაზრდები უფრო მტად ერთვებიან და ინტერესს იჩენენ სოფლის მეურნეობის მიმართ. აღნიშნული განპირობებებულია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებით, კერძოდ:

- ორივე რეგიონში დასამუშავებელი მიწის ნაკვეთები დიდ ფართობებზეა და კლიმატური პირობები მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს მოსავლის მიღებას;
- უცხოეთის ქვეყნებში პროდუქციის ექსპორტი მეტ-ნაკლებად აწყობილია, მაგალითად ღვინის ექსპორტი;
- ორივე რეგიონი დედაქალაქთან - თბილისთან ახლოს მდებარეობს, რაც აადვილებს პროდუქციის ტრანსპორტირებას, რეალიზაციას და ქალაქის საჭირო პროდუქციით დროულად მომარაგებას;

კვლევაში მონაწილე ექსპერტების აზრით, სოფლის მეურნეობის მიმართ ინტერესი დიდია იმ რეგიონებში, სადაც ფუნქციონირებენ პროფესიული სასწავლებლები და ასწავლიან აგრარულ სპეციალობებს.

> *- „ჩემი დაკვირვებით, იმ მუნიციპალიტეტში ან რეგიონებში, სადაც არის პროფესიული სასწავლებელი (ტექნიკუმი ან კოლეჯი), აგრარული განხრით, იქ უფრო მეტად არიან დაინტერესებული ახალგაზრდები და უფრო ჩართულები არიან". (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო).*

ქალაქში მცხოვრები, ან ქალაქში დასაქმებული ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობა გამოიხატება შემდეგ აქტივობებში:

- ოჯახის წევრების დახმარება თავისუფალ დროს - შაბათ-კვირას, ან უქმე დღეებში: *„შეხება მაქვს, დახმარებას ვცდილობ, შაბათ-კვირას ვეხმარები. მე თავად გვიან საღამომდე ვმუშაობ" (ქ. თელავში მცხოვრები ახალგაზრდა);*
- ოჯახისთვის დახმარება ისეთ მნიშვნელოვან პერიოდებში, როგორებიცაა მოსავლის აღება, მოსავლის დაბინავება და ა.შ.: *„როცა მძიმე და დიდი სამუშაოა, მაშინ ვეხმარები მშობლებს და ბებია-ბაბუას; ძირითადად სოფელში კარტოფილის დათესვაში ვეხმარები" (ეკომიგრანტი, ბათუმი)*
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოვლისთვის საჭირო რესურსების მობილიზაციაში; მაგალითად, ფინანსური დახმარება შხამ-ქიმიკატების შეძენისთვის: *„ჩემი დახმარება უფრო ჭირდებათ, ფინანსურად, ვიდრე ჩემი იქ ადგილზე ყოფნა, ამიტომ, რაც საჭიროა სოფლისთვის, ვყიდულობ"(ქალაქში მცხოვრებელი ახალგაზრდა, ბათუმი);*
- *ახალგაზრდების მიერ ოჯახის წევრების მორალურ და ემოციურ მხარდაჭერაში - „დედაჩემი როცა შედის ნაკვეთში და გვერდით შვილი დაუდგება, გაამხნევებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუნდაც ნაკლები*

საქმე გააკეთო, მხარდაჭერა აუცილებელია“ (თელავში მცხოვრები ახალგაზრდა);

4. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება

კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება ის საჭიროებები, რაც ფერმერებს აქვთ, სოფლის მეურნეობა ვერ გახდება პერსპექტიული და საინტერესო ახალგაზრდებისთვის. ეს მოსაზრება დომინანტური იყო 11-ივე ფოკუს ჯგუფში, რომლებიც ახალგაზრდებთან, საქართველოს 5 რეგიონში ჩატარდა. კვლევის ფარგლებში, დასახელდა შემდეგი ფაქტორები, რაც რესპონდნეტების აზრით, ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას:

- **იმპორტირებული პროდუქციის სიაფე;** ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, იმპორტირებულ პროდუქციაზე არსებული დაბალი ფასები ართულებს ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის ადეკვატურ და ხელსაყრელ ფასებში რეალიზაციას.

  - *„ქვემო ქართლში უფრო მეტად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, ვიდრე სხვა რეგიონებში. თუმცა, ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში ეს ასე აღარ იქნება, ვინაიდან უცხოეთიდან შემოსულ პროდუქციას ადგილობრივი გლეხის პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს, ხელი ეშლება ჩვენი პროდუქტის გასაღებას. ჩვენი შრომა ვერ ნაზღაურდება მიღებული შემოსავლით და ამით ადამიანს ეკარგება ხალისი“ (მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა);*

- **ცვალებადი ფასები სოფლის მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციაზე**; ყოველ სეზონზე არასტაბილური ფასები ხელს უშლის ფერმერს დაგეგმოს თავისი საქმიანობა და ჰქონდეს ადეკვატური მოლოდინები.

  - *„მაგალითად, წელს თუ ჭარხალი ღირს 1 ლარი, და გლეხი გადაწყვეტს მის დათესვას, შეიძლება მომავალ წელს 15 თეთრი ღირდეს, რატომ ხდება ასე?!“ – (ქ. გორის მაცხოვრებელი);*

- **გარეშე რისკ-ფაქტორები, რასაც ფერმერი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება;** ასეთ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება, მაგალითად, ცუდი კლიმატური პირობები, მწერების შემოსევა და ა.შ; ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ აგროდაზღვევის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, სრულფასოვნად არ ანაზღაურებს ფერმერების მიერ მიღებულ ზარალს.

  - *„დავაზღვიეთ მოსავალი, გადავიხადეთ ამაში გარკვეული ოდენობის თანხა, თუმცა ძალიან მინიმალური თანხა აგვინაზღაურეს. ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ისეთი წამალი იარსებებს, რომლის გამოყენებისას გარე პირობებით მიყენებული ზარალი მინიმალური იქნება. თუმცა, ესეც დაკავშირებულია ხარჯებთან (ქ. გორის მაცხოვრებელი);*

  - *„მე არ დამიზღვევია მოსავალი, რადგან არ მქონდა შესაძლებლობა, მივენდე ბუნებას. ჩემი ოჯახის ახლობელმა დააზღვია მოსავალი და როდესაც მივიდა ზიანის ანაზღაურებისთვის, უთხრეს – ჩვენ მხოლოდ სეტყვით მიყენებულ ზარალს ვანაზღაურებთ და არა გვალვით მიყენებულსო“ (ქ. გორის მაცხოვრებელი);*

- „წელს 50 თეთრზე მეტი არ გადაიხადეს ციტრუსში, ფაროსანამ რომ გააფუჭა ამის გამო, არ მიაქვთ, არ მოსწონთ“ (სოფლის მაცხოვრებელი, აჭარის რეგიონი);

- **პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები;** ახალგაზრდების მოსაზრებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შეუძლებლობა, მაგალითად, ადგილზე ჩამბარებელი პუნქტების არარსებობა.

- „სოფელში უნდა იყოს საწარმოები, სეზონური მოსავალი რომ ადგილზე ჩააბაროს გლეხმა, და ამ საწარმომ გადაამუშავოს ადგილობრივად პროდუქტი; როცა გარანტია იქნება იმის, რომ ჩაიბარებს, უფრო მეტი მოტივაცია ექნება გლეხს და ახალგაზრდას შრომისთვის“ (სოფლის მაცხოვრებელი, აჭარის რეგიონი);

- **სარწყავი სისტემის პრობლემა;** მონაწილეთა აზრით, სარწყავი სისტემის არარსებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ზოგიერთ სოფელში სოფლის მეურნეობის განვითარებას.

- „სასმელი წყალი მარტო წყაროზეა, მორწყვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია და იქ რაღაცის გაკეთების მცდელობა სისულელეა იმიტომ, რომ მოსავალი თუ ვერ მორწყე, ბიზნესს ვერ ააწყობ და შემოსავალზე ვერ იფიქრებ ვერანაირად“ - (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მაცხოვრებელი).

- **ფინანსური რესურსების სიმცირე;** ფინანსები აუცილებელია სოფლის ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის.

- *„თუ იქნება პირობები, ადგილი, შენობა, თუნდაც ელემენტარული, რომ ზამთარში გამოაზამთრო ცხოველი, მაშინ ექნება პერსპექტივა, ამ ყველაფერს კი ფული სჭირდება“ (ქალაქში მცხოვრებელი ახალგაზრდა, დუშეთი);*

- *„მე არ დავიწყებდი სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, რადგანაც, ვხედავ ჩემი მშობლები რამდენად დიდ თანხას ხარჯავენ და მოგებას ვერ ნახულობენ, მოგება რომ ნახო, უფრო მეტი ფულია საჭირო“ (ქალაქ დუშეთში მაცხოვრებელი);*

- **ფერმერის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამურნეო მიწის ნაკვეთების სიმცირე,** რაც უშლის ხელს დიდი რაოდენობის პროდუქციის მოყვანას.

- *„თუ აპირებ, რომ მიწის მეურნეობიდან რაიმე სარგებელი ნახო, უნდა გქონდეს დიდ ფართობებზე გაკეთებული, რომ აიღო დიდი რაოდენობის მოსავალი და სარფიანად გაყიდო“(ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა, დუშეთი)*

- **სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ყურადღება**; ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ სახელმწიფო არ იჩენს საკმარის ყურადღებას ფერმერების მიმართ: *„მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არის დახმარება, ეს დახმარება არის ძალიან მცირე და მხოლოდ ვაუჩერებით შემოიფარგლება“ (ქ. გორის მაცხოვრებელი).*
- **ბანკიდან აღებული სესხის დაფარვის ტვირთი;** იმის გამო, რომ ფერმერებს საკმარისი რესურსები არ აქვთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებისთვის, ისინი ბანკების მიერ შეთავაზებული სესხებით სარგებლობენ. თუმცა, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის დიდ ნაწილს ფერმერი

კრედიტის დაფარვისთვის იყენებს:*„შემოსავალი მთლიანად მიდის ბანკში და არაფერი არ რჩება“ (გორის მუნიციპალიტეტის სოფლის ახალგაზრდა).*

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა, სოფლის მეურნეობაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად **განათლების ნაკლებობა** დაასახელეს. მათი აზრით, როდესაც სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზეა საუბარი, აუცილებელია ფერმერს ადეკვატური განათლება ჰქონდეს.

- *„მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ განათლებაში, როცა ვამბობთ, რომ სოფლის მეურნეობა უნდა განვავითაროთ, ტექნოლოგიებით უზრუნველვყოთ და ა.შ. ამას სჭირდება შესაბამისი კვალიფიკაცია, ეს კვალიფიკაცია და ცოდნა ფერმერს არ აქვს (დემორკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი).*

ერთ-ერთი ექსპერტების აზრით, 2012 წლამდე სოფლის მეურნეობა სტაგნაციაში იყო, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროფესიების განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ სფეროდ არ იყო მიჩნეული. თუმცა, 2012 წლიდან ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა.

- *„2012 წლიდან მეტი ყურადღება ექცევა განათლების კუთხით, მათ შორის მთავრობის და დონორების მხრიდან პროფესიულ განათლებაში გარკვეული დაფინანსება იდება, ვინაიდან აღიარებული იქნა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც სოფლის მეურნეობაშია უკავშრდება განათლებაში არსებულ პრობლემებს“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

ადეკვატური განათლების მიღების შეუძლებლობა განაპირობებს კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს ადგილზე, ისეთი პროფესიის ადამიანების დეფიციტს, როგორებიცაა, მაგალითად, კვალიფიციური ვეტერინარი, აგრონომი, მელიორატორი და ა.შ. აგრეთვე, ფერმერებს ნაკლები

ცოდნა აქვთ იმის თაობაზე, თუ რა სასუქი გამოიყენონ, როდის დათესონ და მოხნან, ცუდი კლიმატური პირობების დროს რა გზებს მიმართონ, რათა პრევენცია მოახდინონ და ა.შ. პროფესიული სასწავლებლები არამხოლოდ დიდ ქალაქებში უნდა ფუნქციონირებდეს, არამედ სოფლებშიც, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.

- *„სასაცილოა ის, რომ გათუმშია პროფესიული სასწავლებელი, რომლის მიზანია პრაქტიკული სწავლება, თუმცა გათუმს საკუთარი ფერმა არ აქვს, სათბურები არ გააჩნია, ამიტომ ასეთი სასწავლებელი უნდა იყოს შუახევში, ხულოში და სხვაგან. საპატრიარქოს უნივერსიტეტს ხიჭაურში აქვს გახსნილი პროფესიული სასწავლებელი, ამის შესახებ როცა გავიგე, გამიხარდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბუღალტერიას ასწავლიან ისეთ განათლებას აწვდიან, რაც სოფელში მაცხოვრებელს ნაკლებად გამოადგება“ – (დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი).*

კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია ფერმერებს ხელი მიუწვდებოდეთ ახალ ტექნოლიგიებზე, რისი ნაკლებობაც დღეს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებობს.

- *„ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია, პრიმიტიულ მაგალითს მოვიტან, აქამდე ფერმერებმა არ იცოდნენ, რა იყო წვეთოვანი სისტემა, როგორ ეწარმოებინათ კიტრი ბადეზე, ახლა უკვე იციან, გაკეთდა სადემონსტრაციო ბადეები, ნახეს, ირწმუნეს და ახლა უკვე ეტაპობრივად ამას ახორციელებენ“ (სოფლის მეურნეობის სამინისიტროს წარმომადგენელი);*

განათლების ნაკლებობის გარდა, კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა სოფლის მეურნეობაში არსებული სხვა პრობლემებიც დაასახელეს, მათ შორის:

- **ფერმერთა ფინანსური რესურსების სიმცირე;** როგორც კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა აღნიშნეს, 2012 წლიდან მთავრობა სოლიდური თანხით

აფინანსებს სოფლის მეურნეობას, თუმცა ე.წ. „სტარტაპების“დაფინანსება ნაკლებია, ვინაიდან ითვლება, რომ სოფლის მეურნეობა სარისკო საქმიანობაა, ხოლო გამოუცდელი და არაკვალიფიციური ფერმერი უფრო მეტად ხდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას სარისკოს;

- **კომერციულ ბანკებთან ფერმერების ურთიერთობის სირთულე;** ფერმერებისთვის ბანკებთან ურთიერთობა პრობლემატურია, რადგანაც სესხის აღების მცირე შანსები აქვთ. ექსპერტების აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ ბანკისთვის მიწას არ გააჩნია სათანადო ღირებულება, რათა გასცეს სესხი ფერმერული მეურნეობისთვის. პრობლემა უკავშირდება ბანკებსაც, კერძოდ, იმ კრედიტ ოფიცრებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ტიპის სესხებს გასცემენ.

  - *„მათ არ ჰქონდათ გამოცდილება და რეალურად განმცხადებლებს ვერ აფასებდნენ ადეკვატურად, მათი შეფასება იყო ძალიან ზედაპირული და ზედმეტად სუბიექტური იმ მიზეზის გამო, რომ თანამშრომლები ელემენტარულ სასოფლო-სამურნეო ცოდნას არ ფლობდნენ. თუმცა, ბოლო წლებში ვითარება შედარებით გამოსწორდა“(ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

- **ნაკლები ხელშეწყობა სოფლის ცხოვრების განვითარებისთვის;** როცა საუბარია სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდების ჩართულობაზე, მიზანშეწონილია აქცენტი დაისვას სოფლის ცხოვრების განვითარების ჭრილში. იმისათვის, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ნაკადი შემცირდეს, აუცილებელია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ადგილზე შეექმნათ ხელსაყრელი პირობები.

  - *„ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღონ განათლება, ჰქონდეთ ელემენტარული სოციალური პირობები, მათ შორის*

გამართული გზები, ინტერნეტი, სკვერები, კულტურული ობიექტები, ბიბლიოთეკები და ა.შ“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).

- **ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი და დისტრიბუციასთან დაკავშირებული პრობლემები.** ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფერმერისთვის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის დაცვა და პროდუქციის დისტრიბუცია. ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოში მომსახურების სფეროში მოქმედი მსხვილი ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციები დაინტერესებული არიან, რომ მათი სასურსათო საჭიროებები ადგილობრივმა ფერმერებმა უზრუნველყონ, თუმცა წარმოების უწყვეტი ჯაჭვის უზრუნველყოფას ფერმერები ვერ ახერხებენ*: „ქართველ ფერმერს სეზონურად შეუძლია პროდუქციის მიწოდება, მაშინ, როცა, მაგალითად, სასტუმროს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი აქვს და პროდუქცია ყოველ დღე სჭირდება“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).* აგრეთვე, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სოფლად მცხოვრებმა ფერმერებმა არ იციან და არც აქვთ საშუალება, რომ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ სხვაგან, ადგილობრივი აგრარული ბაზრის გარდა, რომელიც უკვე ისედაც ჭარბად გაჯერებულია ადგილობრივი პროდუქციით.

  - *„მათ კავშირები, იგივე სუპერმარკეტებთან, რესტორნებთან არ აქვთ, არც უნარი გააჩნიათ, თუ როგორ მოახდინონ მარკეტინგი, ბრენდირება და ა.შ. ბაზარი განვითარდა, გაიზარდა მოთხოვნები, სუპერმარკეტები უკვე მარაგდება ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქციით“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

გამომდინარე იქედან, რომ ბაზარზე მოთხოვნა ხარისხიან პროდუქციაზე გაიზარდა, არასერტიფიცირებულ და შეუმოწმებელ პროდუქციას მსხვილი

ბიზნეს-ორგანიზაციები არ ყიდულობენ. შემსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის მიერ შეძენილი პროდუქცია უვნებელია. სერტიფიცირება აუცილებელია მაშინაც, თუ ფერმერი გეგმავს საქმიანობის გაფართოებას და პროდუქციის ექსპორტზე გატანას.

- **სამაცივრე მეურნეობის სიმცირე/არარსებობა;** სამაცივრე მეურნეობის სიმცირე/არარსებობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს მალფუჭებადი პროდუქციის რეალიზაციას.
  - *„დიდი პრობლემაა სამაცივრე მეურნეობის სიმცირე, მაგალითად, როცა ფერმერი ერთი თვის განმავლობაში ჭარბად აწარმოებს ატამს, რა თქმა უნდა, ამ რაოდენობის პროდუქციას ქართული ბაზარი ვერ აიტანს. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ იმპორტულით იყო ჩანაცვლებული და ამიტომ იზარალა ფერმერმა. უბრალოდ, მოსავალი იყო ბევრი, ამიტომ სამაცივრე მეურნეობა საციცხლოდ საჭიროა, რომ ფერმერმა არასეზონზე გაყიდოს პროდუქცია“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი);*

- **ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის ნაკლებობა.** მეურნეობების დივერსიფიკაცია შესაძლებლობას მისცემს ფერმერს, რომ ტრადიციული კულტურების ნაცვლად, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიყვანოს ის პროდუქცია, რისი მოთხოვნაც ბაზარზე არსებობს.

  - *„ძალიან ხშირად ერთი და იგივე ტიპის პროდუქციას აწარმოებენ მუდმივად, ტრადიციულად, ვიცით, რომ ერთი რეგიონი აწარმოებს მხოლოდ კარტოფილს, როცა რეალურად ახალი ტექნოლოგიებით შესაძლოა აწარმოოს ახალი პროდუქტი, მაგალითად, ისეთი, რომელიც სჭირდება რომელიმე სასტუმროს, ეს იქნება კომბოსტო, სხვადასხვა სახის სალათის ფოთოლი თუ სხვა“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი)*

ექსპერტების აზრით, ერთი და იგივე პროდუქციის წარმოება, სიჭარბის გამო, აფერხებს პროდუქციის რეალიზაციას, ამიტომ ე.წ. ნიშური პროდუქციის წარმოება ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობების განვითარებას;

- **ფერმერების საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობების სიმცირე;** ექსპერტების აზრით, მიუხედევად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენრტო აქტიურად მუშაობს და ფერმერებს ეხმარება კოოპერაციაში, სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ დანაწევრებულია, რაც ართულებს პატარა ფართობებზე ტექნოლოგიების დანერგვასდა მექანზიაციის დონის გამოყენებას.

  - *„ჩვენი მიწების მფლობელი ფერმერების 70% არის ის, ვინც ფლობს 0-დან 5 ჰექტრის ჩათვლით მიწებს; ეს იმას ნიშნავს, რომ მიწები არის ძალიან დაქუცმაცებული და მათ, მაგალითად, არ აქვთ იმის საშუალება, რომ ბანკები დაარწმუნონ კრედიტების გაცემაში' (სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).*

5. სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, როგორც ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო

სოფლის მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო - რჩება არაკონკურენტული. მთავარი გამოწვევები, რომლის წინაშეც დგება სოფლის მეურნეობის სექტორი არის: სასოფლო სამეურნეო საქმიანობის/მიწათმოქმედების შეზღუდული მასშტაბი, საკვების უსაფრთხოების სტანდარტების არარსებობა და აქედან გამომდინარე შეზღუდული/ მცირე ექსპორტი. ამის შედეგად, საქართველო არის

იმპორტზე დამოკიდებული, თითქმის ყველა პროდუქტის/საკვების კატეგორიაში, განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდებში. ნათელია რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის იმ მომენტიდან, როცა სოფლის მეურნეობა გახდება საქართველოს სოფლის მოსახლეობის საკმარისი შემოსავლების მაგენერირებელი.

შეკითხვაზე - *არის თუ არა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ოჯახებისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო*, როგორც სოფლის, ისე ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფებში დომინირებდა პასუხი - „**ნაწილობრივ“.** ის, თუ რამდენად არის სოფლის მეურნეობა შემოსავლის ძირითადი, ან დამხარე წყარო, დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- **პროდუქტის მოსავლიანობაზე** (არის თუ არა კარგი კლიმატური პირობები, ხარისხიანია თუ არა შხამ-ქიმიკატები და ა.შ.)
- **პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებზე** (ფერმერები ახერხებენ თუ არა გასაღების ბაზრის მოძიებას,არის თუ არა მოთხოვნა ბაზარზე და ა.შ.)
- **პროდუქციის ფასზე** (როგორია პროდუქტის ფასი, რამდენად ახერხებენ ფერმერები ამონაგების მიღებას, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება თუ არა სუბსიდირება და ა.შ.)

მართალია, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ოჯახებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ნაწილობრივ, ან თითქმის არ არის შემოსავლის ძირითადი წყარო, მაგრამ სოფლის პროდუქცია ბევრი ოჯახისთვის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენს.

- *„მაგალითად, ჩემი ოჯახი არაფერს არ ყიდის, მაგრამ, რაც ოჯახში მოყავთ მოვიხმართ ყველაფერს, გინდა ბოსტნეული, გინდა რძის პროდუქტი.*

ბაზარში თითქმის არაფერს ვყიდულობთ“ (ეკომიგრანტი აჭარის რეგიონიდან).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელსაც ოჯახი გამოკვებისთვის იყენებს, უფრო მეტად ოჯახის ასაკით უფროსი წევრები არიან ჩართულები, რომელთათვისაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ახალგაზრდების აზრით, სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს ოჯახი ვერ დაეყრდნობა, ამიტომ, აუცილებელია, რომ ოჯახის რომელიმე წევრს, ან წევრებს გააჩნდეთ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები: *„როცა არ იცი, რა იქნება მომავალ წელს, ასეთ დროს სოფლის მეურნეობას ვერ დაეყრდნობი, აუცილებელია გქონდეს სამსახური“ (მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა).* გარდა ამისა, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, სეზონურია:*„შემოსავალს მაშინ ვიღებთ სოფლის მეურნეობიდან, როდესაც ყურძენს ვაბარებთ, სხვა დროს შემოსავალი სოფლის საქმიდან არ გვაქვს“ (ქ. თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).*

6. წარმატებული ახალგაზრდა ფერმერების მაგალითები და მათი როლი სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციაში

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილს, როგორც სოფლის მაცხოვრებლებს, ისე ქალაქში მიგრირებულებს, სმენიათ, ან პირადად იცნობენ იმ წარმატებულ ახალგაზრდებს, რომლებიც სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები: *„მე ვიცნობ ერთ თანატოლს,რომელსაც ჰყავდა 30 ოჯახი ფუტკარი და ახლა 60 ოჯახი ჰყავს, დაახლოებით 3 წლის მანძილზე გაორმაგა მისი ბიზნესი“ (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა).*

შეკითხვაზე, თუ როგორ აღწევენ წარმატებას ახალგაზრდა ფერმერები თავიანთ საქმიანობაში, ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფებში რამდენიმე მიზეზი დასახელდა.

- **მშობლების დახმარება** - *„შეძლებული ოჯახიდან ვინც არის სოფლის მეურნეობაში, მათ მშობლები ეხმარებიან და სურვილიც აქვთ მუშაობის“ (სოფლის ახალგაზრდა, თელავი)*
- **მემკვიდრეობით მიღებული ქონება** - *„ჩემი კლასელები, რომლებმაც მშობლებისგან მიიღეს მემკვიდრეობით ღვინის პატარა ქარხანა, გააგრძელეს მათი ბიზნესი“(სოფლის ახალგაზრდა,თელავი)*
- **სოფლის მეურნეობაში მიღებული განათლება**- *„ჩემს სოფელში ერთმა ახლაგაზრდამ მეფუტკრეობის კურსი გაიარა, შეისწავლა, შემდეგ იყიდა სკები და დღეს წარმატებულია“ (სოფლის ახალგაზრდა, გორი)*

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ რაც არ უნდა რესურსები ჰქონდეს ახალგაზრდას, თუ მას ინტერესი არ ექნება სოფლის მეურნეობის მიმართ, წარმატებული ფერმერი ვერ გახდება.

რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ წარმატებულ მაგალითებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციისთვის, მით უფრო, როცა წარმატებული მაგალითი თვალსაჩინოა.

- *„შეიძლება ტელევიზიით გამოსული წარმატებული ფერმერის ნაკლებად დაიჯერო იმიტომ, რომ არ იცი რეალურად რას აკეთებს, მაგრამ, როცა შენი მეზობელი რაღაცას იშოვის, შენც ხვდები, რომ ეს საქმე შეიძლება შენც გამოგივიდეს, თუმცა ცოტაა ასეთი ადამიანი, რომ მოსახლეობაზე გავლენა იქონიოს“ (ქ. დუშეთის მაცხოვრებელი).*

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა წარმატებულმა ფერმერებმაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. წარმოგიდგენთ ხუთი ახალგაზრდის წარმატების ისტორიას:

1. გილვარა, 25 წლის, ქვემო ქართლი

25 წლის გილვარა და მისი ოჯახი სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგში - მიწათმოქმედებაში - აქტიურადაა ჩართული. ოჯახს მოჰყავს კარალიოკი, ლობიო, კარტოფილი, თხილი, ნიგოზი და სხვა მრავალწლიანი, თუ ერთწლიანი კულტურები.

- *„ერთი და იგივე მიწაზე ჯერ კარტოფილი მოგვყავს, მოსავლის აღების შემდეგ იქვე ვთესავთ ლობიოს, პომიდორს, კიტრს. კიტრს ზოგჯერ 3-ჯერაც ვთესავთ და ნოემბრის ბოლომდე გვაქვს ხოლმე“.*

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულია გილვარას ოჯახის ყველა წევრი - მშობლები, ორი ძმა, და და თვითონ. ოჯახის წევრებს განაწილებული აქვთ საქმიანობები, რაც, რესპონდენტის თქმით, აადვილებს სამუშაოს.

- *„ყველამ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, ჩემ ძმებს და მამაჩემს სარეალიზაციოდ მიაქვთ პროდუქტი, მიწაზე მუშაობენ, მე და ჩემი და სახლში გასაკეთებელ საქმეებს ვაკეთებთ“.*

პროდუქციის რეალიზიაციას გილვარას ოჯახი ადგილზე, მარნეულში ახდენს, ან მიაქვს თბილისში. ოჯახმა საქმიანობა 2014 წელს გააფართოვა, როდესაც დანაზოგით დამატებით შეიძინეს მიწის ნაკვეთი, რამაც გაზარდა ოჯახის საქმიანობის მოცულობა და შემოსავალი. გილვარას და მის ოჯახის წევრებს სამომავლოდ სურვილი აქვთ, რომ საკუთარი სათბური გააკეთონ.

- *„თუ გვექნება სათბური, ამით გაიზრდება ჩვენი შემოსავალი. კიტრს ზაფხულში თუ 1 ლარად ვყიდით, ზამთარში 4 ლარი ეღირება“.*

თუმცა, ამ იდეის განხორციელებისთვის საკმარისი თანხა ჯერ-ჯერობით ვერ დააგროვეს. როგორც რესპონდენტი ამბობს, რეალზიაციის პრობლემა არ აქვთ, ვინაიდაინ ოჯახს ჰყავს სტაბილური კლიენტები; ერთადერთი, რაც ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს, ბაზარზე არსებული არასტაბილური ფასებია.

- *„ზოგჯერ იმაზე ნაკლებ ფასად გაგვიყიდია, ვიდრე დაგეგმილი გვქონდა, იმიტომ, რომ უცხოეთიდან შემოდის პროდუქტი“.*

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლით, გილვარამ, უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო თბილისში. გილვარა იმ უარყოფით მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც სოფლის საქმეს, მისი აზრით, გააჩნია.

- *„სოფლის მეურნეობით თუ ხარ დაკავებული, ამ შემთხვევაში არ იცი, რა ხდება ქალაქში. არ გაქვს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ, სოფლის საქმეს დიდი დრო მიაქვს, დრო არაფისთვის გრჩება“.*

2. თამუნა, 26 წლის, შიდა ქართლი

ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თამუნა სასოფლო სამეურნეო საქმიანობით მას შემდეგ დაკავდა, რაც მისი წინა საქმიანობა - გერმანიიდან მეორადი ავტომობილების ჩამოყვანა წამგებიანი ბიზნესი გახდა; ხოლო ამის მიზეზი კი ის იყო რომ აზერბაიჯანში გარკვეულ წლამდე ასაკის ავტომანქანების იმპორტი აიკრძალა, სადანაც ძირითადად ხდებოდა ავტომობილების რეალიზაცია. გამოსავალი თამუნამ და მისმა მეუღლემ სოფლის მეურნეობაში დაინახეს; მათ გააჩნდათ მიწის ნაკვეთი ქვიშხეთში, დანაზოგის საშუალებით დამატებით იჯარით აიღეს მიწის ნაკვეთები, სადაც, ვენახთან ერთად, დაიწყეს კარტოფილის და ხახვის მოყვანა. ახალი კულტურების მოყვანისთვის დამატებით დაჭირდათ თანხები და ამიტომ მოუწიათ ბანკიდან კრედიტის გამოტანა.

- *„გამომდინარე იქედან, რომ ფულადი დანაზოგი ცოტა გვქონდა, კრედიტის გამოტანა მოგვიხდა. წინასწარ გავთვალეთ, რა თანხა იყო საჭირო მუშახელისთვის, მათი კვებისთვის, მცენარეების წამლებისთვის და ა.შ.“*

თამუნას შეფასებით, სოფლის მეურნეობამ გაამართლა, თუმცა იმდენი შემოსავალი ვერ მიიღო, რამდენიც ავტომანქანების გაყიდვის ბიზნესში ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თამუნა და მისი მეუღლე საქმიანობის გაგრძელებას და გაფართოებას გეგმავენ. დაგემილი აქვთ, რომ შესაბამისი ცოდნა მიიღონ იმ მიმართულებით, რაც გამოადგებათ მათ სამომავლო საქმიანობაში. ამ ეტაპზე, სოფლის მეურნეობა თამუნას ოჯახისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

3. გიორგი, 20 წლის, კახეთი

20 წლის გიორგი კახეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ფერმაში ზოოტექნიკოსად მუშაობს, სადაც საქონლის ხელოვნურად განაყოფიერებით არის დაკავებული. მისი ყოველთვიური ხელფასი 800 ლარია. ამას გარდა, თითო განაყოფიერებულ საქონელში დამატებით, პრემიის სახით, 10 ლარს უხდიან. პირუტყვების მიმართ ინტერესი ადრეული ბავშვობიდან ჰქონდა, რაც მისი აზრით მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომ ამ საქმით დაკავებულიყო. ბოლო პერიოდში საქმიანობის ტერიტორიული არეალი გააფართოვა და შეკვეთებს სხვა მუნიციპლაიტეტებშიც იღებს, სადაც ერთი ძროხის განაყოფიერებისთვის 20 ლარს უხდიან. ამ შესაძლებლობით გიორგის ყოველთვიური შემოსავალი გაიზარდა და დღეს უკვე თვეში 2000 ლარს აჭარბებს. სამომავლოდ დაგეგმილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლება კერძოდ, ერთერთი დონორი ორგანიზაციის დახმარებით, უახლოეს პერიოდში საზღვარგარეთ მიემგზავრება.

4. მერაბი, 21 წლის, აჭარა

21 წლის მერაბი ციტრუსის მეურნეობას მშობლებთან და დასთან ერთად უძღვება. მოსავლით ყველაზე კმაყოფილი 2015 წელს იყო, მაშინ მერაბის ოჯახმა 9 ტონა მანდარინი ჩააბარა, რაშიც 1 კილოგრამ ე.წ. სუპერ ზომის მანდარინში 55 თეთრი გადაუხადეს, ხოლო სტანდარტული ზომის მანდარინში - 30 თეთრი. მიღებული შემოსავლით ბანკის სესხი დაფარა, დარჩენილი თანხით სახლში მცირე რემონტი გააკეთა და საყოფაცხოვრებო ნივთები შეიძინა. წლევანდელი

მოსავლით მერაბი უკმაყოფილოა, ვინაიდან მწერებმა (ფაროსანამ) გაუფუჭა ნაყოფი.

- *„ფაროსანამ ძალიან დაგვაზარალა წელს, ახლა ჩვენთან სოფელში გამგებელი იყო გამოსული, რაღაც შეწამვლები იქნებაო, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს, ველოდებით ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებებით მომარაგებას“.*

მართალია, მერაბისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ძირითადია, თუმცა ჯერჯერობით იმდენად შემოსავლიანი არაა, რომ მიღებული შემოსავალი მთელი წელი ეყოს. არსებული პრობლემების მიუხედავად, საქმიანობას სოფლის მეურნეობის მიმართულებით ოპტიმისტურად უყურებს და მეგობართან ერთად საერთო იდეების განხორციელებასაც გეგმავს.

- *„მყავს მეგობარი, ჩემი კლასელი, რომელმაც სასწავლებელიც დაამთავრა, მაგრამ ამ დროისთვის უმუშევარია. ვფიქრობთ, ერთად გავაკეთოთ საქმე, მაგრმამ ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მანდარინს მოვიყანთ, თუ თხილს“.*

მერაბის და მისი მეგობრის საბოლოო მიზანი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანაა, ევროკავშირსა და რუსეთში, იმ ქვეყნებში, სადაც ციტრუსი ყველაზე კარგად იყიდება. მერაბს განათლება სოფლის მეურნეობაში არ მიუღია, რაც იცის, ყველაფერი ბებია-ბაბუისგან და მშობლებისგან ისწავლა. შესაძლებლობა თუ ექნება, დიდი სურვილი აქვს, რომ ცოდნა გაიღრმავოს.

5. გიორგი, 29 წლის, მცხეთა-მთიანეთი

გიორგი მცხეთა-მთიანეთში კოოპერატივის წევრია, რომელიც ხილის გადამამუშავებელი საშრობს უძღვება; ცოდნა საწარმოს მართვის შესახებ დონორი ორგანიზაციების წყალობით მიიღო.

- *„ENPARD-ის ჯგუფი მუშაობდა მცხეთა-მთიანეთში სოფლის განვითარების სააგენტოსთან ერთად, დიდხანს გვიტარებდნენ ტრენინგებს მენეჯმენტში, საწარმოს მართვაში, და ბოლოს*

დაგვიფინანსეს კიდეც პროექტი თანადაფინანსებით. 74% დონორმა გაიღო, ხოლო 26% - ჩვენ.“

კოოპერატივში, რომელშიც გიორგია გაწევრიანებული, ხილისგან წარმოებული ტყლაპისა და ჩირს ამუშავებენ. ეს საქმიანობა 2016 წელს დაიწყეს, კოოპერატივში სულ 13 წევრია გაწევრიანებული:*„ახალგაზრდები, 18 - დან 30 წლამდე, სამნი ვართ, კოოპერატივში კი სულ 13 წევია“.* კოოპერატივი მოსახლეობისგან იბარებს ასკილს, მაჟალოს, ქაცვს და სხვა ხილს. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა ნაკლებად აქვთ, ვინაიდან მუნიციპალიტეტს მწვანე სტატუსი აქვს მინიჭებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებენ. გიორგის თქმით, შეწამვლის ტრადიცია მცხეთა-მთიანეთში არ არის, ამიტომ სერტიფიკატის მოპოვება არ გაჭირვებიათ. თუმცა, რაც შეეხება ISO სერთიფიკატის მიღებას, აქ დამატებითი კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი, რაც კოოპერატივის სამომავლო გეგმაა. გიორგის და მის პარტნიორებს სურთ პროდუქციის ექსპორტირება, გეგმაში აქვთ მეორე დონის კოოპერატივის, იგივე, ასოციაციის შექმნა, რათა წარმოების მოცულობა გაზარდონ.

- *„ჩვენი წარმადობა არის დაახლოებით 200-250 კილოგრამი დღეში, ამ მოცულობით ექსპორტიორი არ დაინტერესდება, 2-3 ტონის გამო არ ჩამოვა და არ წაიღებს პროდუქციას; ამიტომ, საჭიროა კოპერატივების კოოპერაციები, რათა ერთ ადგილზე შეგროვდეს პროდუქცია, არსებობდეს სერტიფიკატი, სადაც ეწერება, რომ პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა და არ არის შეწამლული. აი, ასეთი პირობების შექმნაა საჭირო ექსპორტიორისთვის“.*

გიორგის აზრით, ექსპორტი არის ერთადერთი გამოსავალი, რითაც შესაძლებელი იქნება სოფელში მაცხოვრებლების ყოფის შემსუბუქება და ახალგაზრდების სოფლის მეურნეობით დაინტერესება. გიორგისთვის და მისი პარტნიორებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორია ზამთარში არსებული მკაცრი

კლიმატური პირობები, რადგანაც საწარმოს ცენტრალური გათბობა არ გააჩნია, ხოლო სიცივეში მუშაობა ძალიან რთულია. კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შოკური მაცივრის უქონლობაა, ამიტომ პროდუქციის დიდი ხნით შენახვას ვერ ახერხებენ:

- *„მაცივარი გვაქვს, მაგრამ შოკური არა, შოკური სამაცივრო მეურნეობა რომ არსებობდეს, შევინახავდით პროდუქციას და მერე როცა დეფიციტი იქნებოდა ზამთარში, გავიტანდით ბაზარზე“.*

გიორგის მოსწონს ის საქმიანობა, რითაც არის დაკავებული, თავს თვლის რეალიზებულად და ფიქორბს, რომ მისი საქმიანობა წარმატებული იქნება: *„რასაც ვაკეთებ, მომწონს, მგონია, რომ იმ მიზანს მივაღწევ, რაც დაგეგმილი გვაქვს მე და ჩემს პარტნიორებს“.*

ექსპერტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ წამრატებული ფერმერია ის, ვისაც აქვს ცოდნა, და ამ ცოდნის გაცემა შეუძლია სხვა ფერმერებისთვისაც, რადგანაც - *„ფერმერს თუ სურს იყოს წარმატბული, მის ირგვლივ სოციუმიც უნდა იყოს წარმატებული“(ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).* აგრეთვე, ექსპერტების აზრით, წარმატებულია ის ფერმერი, ვინც ახერხებს საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებას, პროდუქციის ექსპორტზე გატანას, კონტაქტების გაცვლას, მუდმივად იძიებს სიახლეებს, ის ფერმერი, რომელიც არის რისკზე წამსვლელი, რომელიც აფასებს რისკებს, და ამ რისკების დაზღვევისათვის თანხის გადახდა არ ენანებბა.

7. სასოფლო-სამეურენო საქმიანობის პრესტიჟულობა ახალგაზრდებში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 42.8% ცხოვრობს სოფლად (2016) და 48.6% დაკავებულია სოფლის მეურნეობით, მონადირეობით, სატყეო საქმიანობით და თევზაობით. მიუხედავად ამისა, პარადოქსულია, რომ სოფლის მეურნეობის კონტრიბუცია საქართველოს მთლინ შიდა პროდუქტში არის დაახლოებით 9,1% (2015). [9] ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სოფლად ცხოვრების სტიმულირებას. ამის შედეგად, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა განიცდის კლებას (24%-ით შემცირდა 2004-2014 წლებში) და დაბერებას. არაადეკვატური ინფრასტრუქტურა და დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა, წარმოების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში, ბაზისური სოციალური და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ზოგადად ცხოვრების დაბალი სტანდარტები - ხდის სოფელს არამიმზიდველს არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, არამედ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვისაც.

კვლევის ფარგლებში ყველა რეგიონში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებმა, როგორც ქალაქში მაცხოვრებლებმა, ისე სოფლელებმა, აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებში სასოფლო სამეურნეო საქმიანობა ნაკლებად, ან თითქმის არ არის პრესტიჟული. მთავარი ფაქტორი, რაც სოფლის მეურნეობის არაპრესტიჟულობას განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგის **უპერსპექტივობაა**, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების პრობლემურობა, ცუდი კლიმატური პირობები, ცვალებადი ფასები

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

პროდუქციაზე და ა.შ.[10] უპერსპექტივობის გარდა, ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის არაპრესტიჟულობის სხვა მიზეზებიც დასახელდა:

- მშობლების/ოჯახის უფროსი წევრების ნეგატიური დამოკიდებულება შვილის სასოფლო-სამეურენო საქმიანობით დაკავებულობასთან დაკავშირებით;
- მძიმე ფიზიკური შრომა, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანისთვის;
- სოფლის მეურნეობის მიმართ მოსახლეობაში არსებული განწყობები და სტერეოტიპები;

ახალგაზრდების ნაწილს არ სურს ფიზიკური საქმით დაკავდეს და ცდილობს ისეთი სამუშაო იპოვოს, სადაც ფიზიკური დატვირთვა ნაკლები იქნება:

- *„ურჩევნიათ ქალალდებთან ჰქონდეთ საქმე, ვიდრე თოხი და ბარი ეჭიროთ ხელში“*
  (ქ. დუშეთში მიგრირიებული ახალგაზრდა);

მშობლებიც ცდილობენ აარიდონ შვილები ფიზიკურ სამუშაოს:

- *„დედაჩემს თან უნდა, რომ ვიმუშაო და თან - არა, იმიტომ რომ ფიზიკურად ვიტვირთები, რაც ძნელია, მაგრამ ამავდორულად სხვა შემოსავალი არ გვაქვს“ (თელავის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრების ახალგაზრდა).*

ახალგაზრდებში არსებობს სტერეოტიპი, რომ სოფლის მეურნეობა „ჭუჭყიანი“ საქმეა:

[10]ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ თავი : „სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება“.

- *„არაა პრესტიჟული, უხეშად რომ ვთქვათ, ჭუჭყიანი საქმეა და ამიტომ ერიდება ყველა“*
  (ქ. დუშეთის მაცხოვრებელი)

აგრეთვე, გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სოფლის მეურნეობაში ჩართულ ფერმერს განათლება არ სჭირდება, შესაბამისად, ის ვინც ფერმერული საქმიანობით არის დაკავებული - გაუნათლებელია:

- *„თუ განათლება ვერ მიიღო ახალგაზრდამ, ცუდად ისწავლა სკოლაში, ამ შემთხვევაში ერთვება სოფლის მეურნეობაში, ეს არის სასჯელის მაგვარი“*
  (თელავის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა)

სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობას ცოდნა არ სჭირდება, თუმცა როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ დუშეთში გამართულ ფოკუს ჯგუფში თქვა, განათლების მიღება სოფლის მეურნეობაშიც აუცილებელია, რადგანაც:

- *„როცა განათლება გვექნება და ტექნოლოგიებს გამოვიყენებთ, აღარ დაგვჭირდება თოხი და ბარი, რამდენიმე ევროპის ქვეყანაში ვყოფილვარ და გამკვირვებია, როცა თვითმფრინავიდან დამუშავებული უზარმაზარი ტერიტორიები დამინახავს, აი, იქ სოფლის საქმე არ „ტეხავს“, იმიტომ, რომ თოხით და ბარით არავინ არ დადის“.*

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილის აზრით, მშობლების დამოკიდებულება ბოლო წლების განმავლობაში იცვლება და უფრო მეტ მშობელს სურს, რომ ახალგაზრდას გაუჩნდეს სოფლის საქმისადმი ინტერესი:

- *„უკვე ზოგიერთი მშობელი ეუბნება საკუთარ შვილს, რომ შემოსავლის დამატებითი წყარო გახდეს სოფლის მეურნეობა“ (თელავის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა)*

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სოფლის მიმართ დღეს არსებული დამოკიდებულება განპირობებულია იმ გამოცდილებით, რაც არსებობს ბოლო 20 წლის განამვლობაში: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არ აღიქმება როგორც ბიზნესი, საიდანაც შესაძლებელია მოგების მიღება; ამიტომ, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ცნობიერება სოფლის მეურნეობის მიმართ მოსახლეობაში შეიცვალოს, რაშიც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- *„კანონში არ არსებობს ფორმულირება იმისა, თუ ვინ არის ფერმერი, ამბობენ, რომ გვყავს 700 თუ 800 ათასი ფერმერი, ანუ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ნებისმიერი სახის პროდუქციას აწარმოებს მიწაზე, მიჩნეულია ფერმერად“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).*

ექსპერტების აზრით, ფერმერი არის ის, ვინც აწარმოებს პროდუქტს არა მხოლოდ საკუთარი და თავისი ოჯახის კეთილდღეობისთვის, არამედ ახდენს რეალიზაციას და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არის ფერმერის სარგო.

8. საქართველოს მოსახლეობის შემცირება, დაბერება და ურბანიზაციის მაღალი ხარისხი

საქართველო განიცდის რამდენიმე ძირითად ნეგატიურ დემოგრაფიულ ტენდენციას: მოსახლეობის შემცირება, მოსახლეობის დაბერება და ურბანიზაცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ გაკეთებული პროგნოზები საქართველოს მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ნეგატიურია და შეინიშნება ახალგაზრდების წილის შემცირება პოპულაციაში.[11] 15-29 წწ ახალგაზრდების წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით არის 19% და უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხასიათდება კლების ტენდენციით. ახალგაზრდების უმრავლესობა (დაახლოებით 53,1%) ცხოვრობს ურბანულ სივრცეში და დაახლოებით 27.7% კი – თბილისში[12].

ქართველი ახალგაზრდების ზოგიერთი მთავარი დემოგრაფიული მახასიათებელი ასეთია:

- ახალგაზრდების 50.8%-ს წარმოადგენენ მამაკაცები (მაშინ როცა მთლიან მოსახლეობაში ქალების რაოდენობა დაახლოებით 52.3%-ია);
- ახალგაზრდების უმეტესობა ცხოვრობს ურბანულ სივრცეში (დაახლოებით 53.1%) და დაახლოებით 27.7% – თბილისში;
- რეგიონების მიხედვით, მოსახლეობაში ახალგაზრდების ყველაზე მაღალი წილი ფიქსირდება ქვემო ქართლში (25,4%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – სამეგრელოში (19.1%);
- ახალგაზრდების დაახლოებით 29.5% დაქორწინებულია; სქესის ჭრილში თუ განვიხილავთ, ქალების 40.6% და მამაკაცების 19.1%-ია დაქორწინებული;

[11] World Ecnomic Outlook Database
http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2017/02/weodata/download.aspx

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://www.geostat.ge/

- ახლგაზრდების უმეტესობა (29%) ცხოვრობს თბილისში, იმერეთსა (15.4%) და ქვემო ქართლში (12%);
- დაახლოებით 1/3 ნაწილს იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ცხოვრობენ ურბანულ სივრცეში, აქვთ უფრო მაღალი განათლება - დახლოებიით 2,5-ჯერ უფრო მაღალია მათი განათლების დონე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების განათლების დონესთან შედარებით.
- ქალების უფრო მეტ ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება, ვიდრე მამაკაცების;
- დასაქმებულ ახალგაზრდებში მამაკაცების წილი ჭარბობს;
- იმ ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც მიეკუთვნება 15-29 ასაკობრივ ჯგუფს და არ არიან ჩართულნი განათლებაში, დასაქმებასა ან ტრენინგებში 32.4%–ია.

9. ახალგაზრდების სოფლიდან ქალაქში მიგირირების ძირითადი მოტივაციები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობაში უპერსპექტივობის განცდა ახალგაზრდებს აიძულებთ, ეძებონ ალტერნატიული გზები, რათა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია. ამ მხრივ, საუკეთესო გამოსავლად ახალგაზრდბს ქალაქში მიგირირება ესახებათ, სადაც **სამუშაოს პოვნის შესაძლებლობა**, მათი აზრით, გაცილებით ადვილია - *„სამსახურის საძებნელად მიდიან, იმიტომ, რომ მეურნეობა სეზონურია“ (ეკომიგრანტები/დევნილები, აჭარა).* **უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ქალაქში მიგრირება** კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოტივაციად დასახლედა ახალგაზრდებში:

- *„განათლების მიღება არის მიზეზი ქალაქში წამოსვლისა. მე ჩემ შვილს არ დავავალდებულებ, რომ მე დამეხმაროს სოფლის მეურნეობის საქმეებში.*

შვილს ვეტყვი, რომ უმჯობესია მიიღოს განათლება ქალაქში“ (ქალაქის მაცხოვრებელი, შიდა ქართლი);

ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ მშობლებს სურთ მათი შვილები იყვნენ წარმატებულები. მათი შეფასებით, წარმატების მიღწევის მთავარი წინაპირობაა უმაღლესი განათლების მიღება:

- *„რა თქმა უნდა, ყველა მშობელს უნდა თავისი შვილი წარმატებული გაიზარდოს და ამისთვის განათლების მიღებაა საჭირო“ (დუშეთის ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი).*

ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტები განათლების მიღებაზე საუბრისას, სოფლის მეურნეობაში განათლების მიღებას არ გულისხმობენ, რადგანაც მიჩნეულია, რომ სოფლის მეურნეობაში ცოდნის მისაღებად დამატებითი რესურსების დახარჯვა საჭირო არ არის.

კვლევაში მონაწილე ერთერთი რესპონდნეტი, 4 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ლექციებზე დასასწრებად დუშეთიდან თბილისში დადიოდა, რაც მისი შეფასებით, ძალიან რთული იყო და ამიტომ არაერთხელ უფიქრია ქალაქში საცხოვრებლად გადასვლაზე, თუმცა, ფინანსების უქონლობის გამო, ეს იდეა ვერ განახორციელა.

- *„4 წელია უნივერსიტეტში დუშეთიდან დავდიოდი, არაერთხელ გამჩენია სურვილი ქალაქში საცხოვრებლად გადავსულიყავი, ძალიან დამღლელი იყო თითქმის ყოველ დღე დუშეთიდან ლექციებზე სიარული“.*

განათლების მიღების შემდეგ, ახალგაზრდების უმეტესობას სოფელში დაბრუნება აღარ სურთ, ვინაიდან **ქალაქში არსებულ სოციალურ გარემოს ეჩვევიან,** პოულობენ სამსახურს, იძენენ მეგობრებს და ა.შ:

- *„როცა 4 წელი ქალაქში სწავლობ, ეჩვევი იქაურობას, სოფელში დაბრუნება აღარ გინდება, მით უფრო, თუ შემოსავალი გაქვს“ (ქალაქში მაცხოვრებლები, აჭარა).*

ახალგაზრდის მოტივაციაა გაეცნოს სიახლეებს, იყოს აქტიური, დაესწრონ კულტურულ ღონისძიებებს, შეიძინოს მეგობარი და ა.შ. - *„სოფელში ახალგაზრდა მოწყვეტილია ქალაქს, ქალაქის ცხოვრებას, ახალგაზრდას სიახლეები აინტერესებს, უფრო მეტი აქტიურობა“ - ეკომიგრანტები/დევნილები, აჭარა)* აქტიური ცხოვრების შესაძლებლობებს სოფლის ცხოვრება არ იძლევა.
სოფლებში აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა ერთერთი წამყვანი მიზეზია ოჯახებისთვის, რის გამოც იღებენ გადაწყვეტილებას, მიგრირდნენ სოფლიდან ქალაქში -

- *„საცხოვრებელ კორპუსებში უმეტესად ქირით ცხოვრობს სოფლებიდან მიგირირებული მოსახლეობა, იმიტომ, რომ ბავშვები სკოლაში, ან ბაღში ატარონ, არ არის სკოლები და ბაღები ზოგიერთ სოფლებში, და ამის გამო“ (ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი)*

აგრეთვე, ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ არ არსებობს, ან მათი სოფლებიდან შორს მდებარეობენ დაწესებულებები, რომელთა არსებობაც სოფელში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის აუცილელბელ საჭიროებას წარმოადგენენ. მაგალითად, საავადმყოფოები, აფთიაქები, სასურსათო მაღაზიები, სპორტული დარბაზები და ა.შ.

- *„ხუთი ლარის ბენზინი უნდა ჩავასხა, რომ მაღაზიამდე მივიდე“ (სოფლის ახალგაზრდები, შიდა ქართლი)*

ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები დასახელდა კიდევ ერთ პრობლემად, რაც უბიძგებს ადგილობრივ მოსახლეობას იფიქრონ სოფლიდან ქალაქში მიგრირებაზე.

- *„დუშეთში, რომელიც რაიონული ცენტრია, კვირაში მაქსიმუმ ერთი ტრანსპორტი დადის, და 5-6 სოფლის მოსახლეობა იმ ერთ დროს უნდა მოერგოს. ეს არის ძალიან დიდი პრობლემა“ (სოფელში მცხოვრები ახალგზრდა, მცხეთა-მთიანეთი)*

ახალგაზრდების აზრით, იმისათვის, რომ არსებობდეს ცენტრთან კავშირი, აუცილებელია კვირაში სამჯერ მაინც მოძრაობდეს ტრანსპორტი სოფლებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრის მიმართულებით.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ მიგრირებენ ახალგაზრდები, არის მათი მშობლების/ოჯახის წევრების ქალაქში დასაქმება: *„გადმოვედით, მშოლები მუშაობდნენ აქ დუშეთში, სოფელში დავდივართ შაბათ-კვირას“ (დუშეთში მცხოვრები ახალგაზრდა).* **ახალგაზრდების მხრიდან ფიზიკური შრომისგან თავის არიდება** დასახელდა მიგრაციის ერთ-ერთ მოტივაციად ახალგაზრდებში:

- *„ფიზიკურ შრომას რომ თავი დააღწიოს, ამიტომ ახალგზარდების დიდი ნაწილი მიდის სოფლიდან და ქალაქში ეძებს სამსახურს“ (დუშეთში მცხოვრები ახალგაზრდები);*

ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისთვის მნიშვნელოვანია, რომ **ფინანსურად ოჯახისგან დამოუკიდებელი იყოს** და გააჩნდეს თუნდაც მცირე, მაგრამ საკუთარი შემოსავალი:

- *„ჩემი აზრით, ახალგაზრდა ადამიანი მშობლებზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, ის თავად უნდა ცდილობდეს რომ ცხოვრება აიწყოს. მგონია, ამიტომაც მიდიან ქალაქში, რომ ჰოქნდეთ ხელფასი, თუნდაც მცირე“ (იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა, აჭარა).*

ფოკუს ჯგუფებში მიგრაციის კიდევ ერთ მოტივაციად **ქალაქში გართობის მეტი შესაძლებლობები** დასახელდა:

- *„სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდას ინტერნეტით შეუძლია ნახოს რა ხდება ქალაქში, იქნება ეს გორი, თბილისი, თუ საქართველოს საზღვრებს გარეთ, სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდასაც უჩნდება გართობის სურვილი, სოფელში ცხოვრება კი არის ყოველდღიური რუტინა. დილით მიდიხარ სამუშაოდ, საღამოს სახლში დაღლილი ბრუნდები და აღარც კი გაქვს გართობის თავი. ჩემი აზრით, ეს არის სოფლიდან წამოსვლის ერთერთი მიზეზი“ (სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდა, შიდა ქართლი).*

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, სოფელში მაცხოვრებელი ახლაგაზრდების გარკვეული ნაწილის წარმოდგენებში ქალაქის ცხოვრება უზრუნველყოფს იმ საჭიროებებს, რაც ახალგაზრდებს აქვთ. თუმცა, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რამდენიმე ახალგაზრდამ კრიტიკულად შეაფასა ახალგაზრდების მოლოდინები ქალაქში მიგრირებასთან დაკავშირებით:

- *„ქალაქი, თუ სოფელი, ასე რომ დადგეს საკითხი, უმეტესობა ქალაქს აირჩევს, გონიათ, რომ ქალაქში ფიზიკური შრომა არ არის საჭირო, როცა ჩადიან ქალაქში, მერე უცრუვდებათ იმედები. შემდეგ ზოგი უკან ბრუნდება, ზოგი რჩება, და მშენებლობაზე იწყებს მუშაობას, სადაც ანაზღაურება დღეში 20 ლარია“ (სოფლის ახალგაზრდა, აჭარა).*

10. ახალგაზრდების სოფლის მეურნეობით დაინტერესებისთვის აუცილებელი აქტივობები და ღონისძიებები

ორივე სამიზნე ჯგუფმა გამოკვეთა ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში:

- **სოფლებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა** შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის ახალგაზრდებს, გაეცნონ იმ პირობებსა და სიახლეებს, რაც სოფლის მეურნეობის სექტორში არსებობს და რისი შეთავაზებაც დარგს ახალგაზრდებისთვის შეუძლია: *„სოფლებში ჩატარდეს შეხვედრები და ტრენინგები, სადაც ისაუბრებენ ახალგაზრდების მონაწილეობის საჭიროებაზე სოფლის საქმეებში და წარმატების მიღწევის შესაძლებლობებზე“ (სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა, აჭარა);*
- **განათლების მიღების შემდეგ დასაქმებაში ხელშეწყობა**; ახალგაზრდას უნდა შეექმნას მოლოდინი, რომ, მას შემდეგ, რაც ადეკვატურ განათლებას მიიღებს სოფლის მეურნეობაში, მას ექნება დასაქმების რეალური შესაძლებლობა - *„როცა დაასრულებენ სწავლას, ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ხელშეწყობა, რომ დასაქმდებიან და კარგი ანაზღაურება ექნებათ“ (სოფლის ახალგაზრდა, შიდა ქართლი);*
- **ახალგაზრდებისთვის წარმატებული მაგალითების ჩვენება** საჭიროა იმისათვის, რომ ახალგაზრდა დარწმუნდეს სოფლის მეურნეობის დარგის პერსპექტივაში. დამაჯერებლობისთვის აუცილებელია, რომ ბევრი წარმატებული ფერმერის მაგალითი არსებობდეს - *„მაგალითი უნდა იყოს ბევრი და რეალური და არა მოგონილი და გაზვიადებული“ (სოფლის ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი);*
- **ფერმერების საჭიროებების შესწავლა**; აუცილებელია, რომ ფერმერის წინაშე არსებული პრობლემების შესწავლა და მათი გათვალისწინება პერმანენტულად ხდებოდეს, რათა მოსახლეობა დარწმუნდეს იმაში, რომ

სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია ქვეყანაში და რომ მას სათანადო ყურადღება ექცევა - *„უნდა გამოიკითხონ სასოფლო საქმეებში ჩართული ფერმერები, რომ შეისწავლონ რა პრობლემები აქვთ და ამის მიხედვით იმოქმედონ, უნდა იგრძნონ, რომ მათზე ზრუნავენ“(სოფლის ახალგაზრდა. მცხეთა-მთიანეთი);*

- **სასოფლო სამეურენო საქმიანობებში პროექტების დაფინანსება** გაზრდის ახლგაზრდების დაინტერესებას და ჩართულობას სოფლის მეურნეობაში - *„ახალგაზრდები უნდა დაფინანსდნენ. დაფინანსების მოპოვება კი უნდა იყოს მარტივი, რომ გაუჩნდეთ მოტივაცია“ (სოფლის ახალგაზრდები. მცხეთა-მთიანეთი);*
- **ინფორმაციის გავრცელება სკოლებში სოფლის მეურნეობის პოტენციური დარგების შესახებ**; აუცილებელია, რომ ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ ფორმალურ, საგანმანათლებლო სივრცეში - სკოლაში. ინფორმაციის გამავრცელებლები შესაძლოა იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად ურთიერთობენ მოსწავლეებთან და მათი ავტორიტეტის გათვალისწინებით პოზიტიური გავლენა აქვთ მოსწავლეებზე.

- „მნიშვნელოვანი იქნება, თუ ინფორმირმაციას მიაწვდიან მასწავლებლები, იმიტომ, რომ ხშირი ურთიეთობა უწევთ მოსწავლეებთან და ახალგაზრდებთან, აქვთ გავლენა და შესაბამისად გაატარებენ პოლიტიკას ამ მიმართულებით“ (სოფლის ახალგაზრდა, კახეთი)

სკოლებში, შრომის გაკვეთილებზე ფერმერული საქმიანობის სწავლების კომპონენტის შემოღება შესაძლებლობას მისცემს სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ადრეული ასაკიდან გაეცნონ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს, გამოიმუშავონ უნარები და

გაუჩნდეთ ინტერესი -*„სოფლის სკოლებში, შრომის გაკვეთილზე უნდა ასწავლონ სოფლის საქმეები, აჩვენონ პრაქტიკული მაგალითები და ა.შ.“ (სოფლის ახალგაზრდები. მცხეთა-მთიანეთი).* სკოლებში, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, **აბიტურიენტების** დაინტერესება სოფლის მეურნეობით, აგრეთვე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ სეგმენტის, ვინც ჩამოუყალიბებელია და სამომავლო პროფესია არ აქვს არჩეული:

- *„ბევრი არის ისეთი, რომელსაც მეთორმეტე კლასში არ აქვს გადაწყვეტილი,*

  რაზე აბარებს და შეიძლება მათთვის ბიძგის მიცემა“ (სოფლის მაცხოვრებელი, კახეთი)

- **ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში** ხელმისაწვდომს გახდის სოფლის მეურნეობაში არსებული პროექტების, სიახლეებისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციას ფართო საზოგადოებისთვის - *„მაგალითად, ბევრი კაცი იკრიბება ჩაიხანაში, ამიტომ, იქ შეიძლება გავრცელდეს ინფორმაცია, ძალიან შედეგიანი იქნება“ (ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდა, ქვემო ქართლი);*
- **ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტით** აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ახალგაზრდები აქტიური მომხმარებლები არიან სოციალური ქსელების, სხვადასხვა ვებ-გვერდების და ა.შ. შესაბამისად, ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელება ეფექტიანი გზა იქნება იმისათვის, რომ ახალგაზრდა გაეცნოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ამბებს:

  - *„ბევრი ახლაგაზრდა ინტერნეტში, სოციალურ ქსლებში, თამაშებში, ბევრი ფილმს უყურებს, ამიტომ შეიძლება ინტერნეტით გავრცელდეს ინფორმაცია“ თელავში მიგრირებული ახალგაზრდები, კახეთი)*

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა დამატებით დაასახელეს ის აქტივობები და ღონისძიებები, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ახლაგაზრდების დაინტერესებას სოფლის მეურნეობით:

- **სადემონსტრაციო ნაკვეთების ჩვენება და ტექნოლიგიების გაცნობა ახალგაზრდებისთვის** არის კიდევ ერთი გზა, რომ ახალგაზრდები გაეცნონ სოფლის მეურნეობის ხვადასხვა დარგებს და გაუჩნდეთ საქმიანობაში ჩართვის სურვილი.

  „ვფიქრობ, სადემონსტარიცო ნაკვეთების ჩვენება იქნება კარგი საშუალება ახალგაზრდების დაინტერესების, ასევე, მნიშვნენლოვანია, ახალგაზრდებმა იცოდნენ რა ტექნოლოგიები არსებობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ეს ინფორმაციაც მათ უშალოდ უნდა მიეწოდოთ, რათა მოხდეს მათი უფრო მეტად დაინტერესება“ (დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი);

- **კერძო სექტორის როლის გაზრდა სოფლის მეურნეობის განვითარებაში;** იმისათვის, რომ კერძო სექტორი დაინტერესდეს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციის განხორციელებით, აუცილებელია ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

  „კერძო სექტორი თუ დაინტერესდება სოფლის მეურნეობით, ეს იმას ნიშნავს, რომ გაჩნდება უფრო მეტი სამუშაო ადგილი, რაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მაჩვენებელს შეამცირებს“ (დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი);

კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო, მნიშვნელოვნად ახალისებს ახალგაზრდებს, რომ დარჩნენ სოფლებში და არ მიგრირდნენ ქალაქებში - *„მე ვარ მაგალითი ცოცხალი, დამიფინანსეს სწავლა და ძალიან ბევრი მაგალითი ვიცი ბოლო წლებში,*

როდესაც ოჯახს სურს თავისი შვილი მთაში ასწავლოს და ფიქსირდებოდეს სკოლაში, რომ დაფინანსდეს“ (სოფლის ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი) აღნიშნული კანონი დაეხმარა თავის სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში მცხეთა-მთიანეთის მაღალმთიან სოფელში მცხოვრებ გიორგისაც - *„როგორც კი ამოქმედდა ეს კანონი, მაშინვე დენის გადასახადი ნაკლები გადავიხადეთ, ხოლო მოგების და საშემოსავლო გადასახადი არ გადაგვიხდია“. (სოფლის ახალგაზრდები, მცხეთა-მთიანეთი)*

11. რა გავლენას იქონიებს ახალგაზრდების მოტივაციაზე სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება?

კვლევის ფარგლებში, ახალგაზრდების მიმართ დასმულ შეკითხვაზე - *იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობის დარგებში დღეს არსებული ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, გაუჩნდებათ თუ არა ახალგაზრდებს სურვილი ჩაერთონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში*, ორივე სამიზნე ჯგუფში, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში დომინირებდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში ჩართვის მზაობა ექნებათ: *„თუ იქნება კარგი შემოსავალი, გაიზრდება ჩემი ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართ“(სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდა, ქვემო ქართლი).* სოფელში დაბრუნების სურვილი, ქალაქში მცხოვრებმა ახალგაზრდებმაც გამოთქვეს - *„მე დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი სოფელში, რომ ვიცოდე, რომ ჩემი გაწეული შრომა და ხარჯი შედეგს გამოიღებს. დიდი სიამოვნებით წავიდოდი“ (ქალაქ ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა, აჭარა)*; თუმცა, ვიდრე ახალგაზრდები სოფელში დაბრუნების თაობაზე მიიღებენ გადწყვეტილებას, შეეცდებიან კარგად შეაფასონ სოფლის მეურნეობაში არსებული ვითარება: *„ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებ, კარგად გავიაზრებ, ავწონ-დავწონი“ (ეკო მიგრანტი, აჭარა).* ქალაქში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სოფელში დაბრუნების შემთხვევაში, ისინი უფრო დიდ რისკზე მიდიან, ვიდრე სოფლებში მაცხოვრებლები, რადგანაც საქმიანობისა და ცხოვრების წესის შეცვლა მოუწევთ.

> *„წელს რომ არის შემოსავალი სოფელში, ამის გამო ქალაქს არ დავტოვებ და არ წავალ სოფელში, ვინც სოფელში ცხოვრობს, იმისთვის კი კარგია, დასაკარგი არაფერი აქვს, მე კიდევ თავიდან უნდა დავიწყო ყველაფერი“ (მარნეულში მიგრირებული ახალგაზრდა, ქვემო ქართლი).*

ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების იმ ნაწილმა, ვინც ინტერესი გამოთქვა სოფლის მეურნეობის მიმართ, სიტუაციის უკეთეობისკენ შეცვლის შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ ქალაქის დატოვების გარეშეც შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ჩართვა და ორი საქმის ერთდროულად კეთება: *„რა თქმა უნდა, ჩავერთვები, თუმცა სამსახურს არ დავანებებ თავს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ვაქცევ ჩემს დამატებით საქმიანობად“ (გორში მიგრირებული ახალგაზრდა).* ფოკუს ჯგფებში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ახალგაზრდების დაინტერესებას სოფლის მეურენობით, სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის შემთხვევაშიც კი:

- *„ახალგაზრდებში ისეა გამჯდარი ის, რომ სოფლის მეურნეობაში არაფერი არ გამოგივა, უცებ რომ შეიცვალოს სიტუაცია, არ მგონია ვინმე ამის გამო დაბრუნდეს უკან სოფელში“ (სოფელში მცხოვრები დევნილები, აჭარა).*

ქალაქში მიგრირებული ფოკუს ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი, გამორიცხავს სოფელში დაბრუნებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სოფლად ხელსაყრელი პირობები შეიქმნება:

- *„უკვე ჩამოვყალიბდი სხვა მიმართულებით, სხვა პერსპექტივები და მიზნები მაქვს ცხოვრებაში და უცებ რომ შევიცვალო მოსაზრება და გადავწყვიტო დაბრუნება სოფელში, იმიტომ, რომ იქ რაღაც პერსპექტივა გაჩნდა, წარმოუდგენლად მეჩვენება“ (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა, აჭარა) .*

12. სოფლის მეურნეობის სექტორში ახალგაზრდების განსაკუთრებული როლის შეფასება

კვლევის ორივე სამიზნე ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ განსაკუთრებული როლის შესახებ, რაც აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდას სოფლის მეურნეობის სფეროში. ფოკუს ჯგუფებში დასახელდა ახალგაზრდების შემდეგი უპირატესობები:

- **ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ქონა:***„ახალგაზრდა უფრო მეტად ფლობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, მიუწვდება ინფორმაციაზე ხელი, ამიტომ, მისთვის ადვილია საჭირო ინფორმაციის მოძიება“ (გორი, სოფლეში მცხოვრები ახალგაზრდა)*;
- **ამბიციურობა**, რაც ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია და წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს - *„ახალგაზრდას აქვს ამბიცია, რომ მიაღწიოს წარმატებას, იყოს პირველი თავის საქმეში“ (დუშეთში მიგრირებული ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი);*
- **სიახლეების მარტივად ათვისების უნარი:** *„ახალგაზრდას შეუძლია სიახლე ადვილად მიიღოს, საქმეს ადვილად აუღოს ალღო, ასაკოვანს კი დიდი დრო ჭირდება“ (სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა, კახეთი);*
- **ინიციატივიანობა:***„ახალგაზრდა უფრო მეტად ინიციატივიანია, შეიძლება ისეთი იდეები გაუჩნდეს, რაც უფროსებს არ მოუვათ თავში“ (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა, აჭარა)*
- **სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების ადვილად ათვისების უნარი:***„ახალი ტექნოლოგიები, რაც სოფლის მეურნეობაში არის, ახალგაზრდა უფრო მარტივად ითვისებს, ამიტომ უფრო მალე განავითარებს დარგს“ (სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა, კახეთი)*
- **კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები**: *„ახალგაზრდებმა იციან უცხო ენები, შეუძლიათ კომუნიკაცია დაამყარონ ინტერნეტის საშუალებით*

ადამიანებთან, უფრო ადვილად შეუძლიათ მოიძიონ კლიენტები და ა.შ.“ (სოფელში მაცხოვრები ახალგაზრდა, შიდა ქართლი)

13. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის აუცილებელი უნარები და თვისებები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა და ექსპერტებმა ის უნარ-ჩვევები და თვისებები დაასახელეს, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის მსურველ ახალგაზრდას, მთი აზრით, უნდა გააჩნდეს. ყველაზე მთავარი **ცოდნაა** იმ სფეროს, სადაც საქმიანობას გეგმავს ახალგაზრდა - *„ცოდნა თუ არ აქვს, პირველ რიგში ცოდნა უნდა შეიძინოს, რომ გაიგოს, რამდენად შეძლებს საქმისთვის თავის გართმევას“ (სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).* აუცილებელია, რომ ახალგაზრდა **დაუზარებელი და მოტივირებული** იყოს:*„თავისი დროის უდიდესი ნაწილი საქმეს უნდა მიუძღვნას, სულ იმაზე უნდა იფიქროს, თუ რა გააკეთოს, რომ საქმე წინ წაუვიდეს“ (სოფლის ახალგაზრდა, აჭარა)* ახალბედა ფერმერს დეტალურად უნდა ჰქონდეს გაწერილი **ბიზნეს გეგმა** და გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რა **გამოწვევები** და **წინააღმდეგობები** შეიძლება შეხვდეს მას თავის საქმიანობაში - *„წინასწარ უნდა გათვალოს, თუ რა პრობლემები შეიძლება შეხვდეს საქმიანობისდროს, გაითავისოს რისკები და მაქსიმალურად მოახდინოს რისკების პრევენცია“ (ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი).* საქმიანობის ცოდნის გარდა, ახალგაზრდა ფერმერმა საქმიანობის დაწყებამდე უნდა იცოდეს, თუ როგორ და სად მოახდენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას: *„წინასწარ უნდა იცოდეს ფერმერმა, სად შეიძლება გაყიდოს პროდუქცია, რა შესაძლებლობებია ბაზარზე“ (დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი).* ახალბედა ფერმერს უნდა შეეძლოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის

რეკლამირება და მარკეტინგი, მას უნდა გააჩნდეს ის უნარები, რაც დაეხმარება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაში ბაზარზე

- *„გარდა იმისა, რომ ფერმერმა თავისი საქმე კარგად უნდა იცოდეს, ასევე საჭიროა გააჩნდეს უნარები, რომ დაარწმუნოს პოტენციური კლიენტები ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის უპირატესობაში, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ბრენდირებაში, პროდუქციის დეტალურ აღწერის განთავსებაში და ა.შ (სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).*

14. ახალგაზრდების და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

სოფლებში მცხოვრები ოჯახების ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა კვლევის ფარგლებში შეფასდა როგორც **საშუალოზე დაბალი**, რაც იმაში გამოიხატება, რომ სოფლის მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს დაიკმაყოფილოს ძირითადი მოთხოვნილებები, როგორიც არის მაგალითად, კომუნალური გადასახადების გადახდა, აუცილებელი საკვები პროდუქტის შეძენა და სხვა - *„სოფელში თუ ცხოვრობ და სოფლის მეურენობაში რამე გაგაჩნია, შიმშილისგან არ მოკვდები, თუმცა ზოგადად ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა დაბალია“ (დუშეთში მცხოვრები ახალგაზრდა, მცხეთა-მთიანეთი)* თუმცა არ ხელეწიფებათ შეიძინონ შედრებით ძვირადღირებული საგნები, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა და ა.შ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არსებობენ ისეთი სოფლებიც, სადაც არც სოფლის მეურნეობაა განვითარებული და არც სხვა შემოსავლის წყარო აქვს მოსახლეობას, ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო სოციალური დახმარებებია - *„ბევრი ოჯახი არის,*

რომელსაც მარტო სოცალური დახმარება აქვს და იმის იმედზე არის და ირჩენენ თავს“ (სოფლის ახალგაზრდა, კახეთი).

ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით მაღალია იმ სოფლებში, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება - *„დედაჩემის სოფელში, ხულოში, ძალიან აიწია ეკონომიურმა მდგომარეობამ, იმიტომ, რომ გაიხსნა საბაგირო და ხალხი დასაქმდა, გოდერძის კურორტს ვგულისხმობ“ (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა, აჭარა).*

15. სოფლის მეურნეობის დარგებში განათლების მიღების შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის

ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის აუცილებელია შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურების აქტიური ფუნქციონირება. ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ კონკრეტულ დარგში თეორიული ცოდნის და ამავე დროს პრაქტიკული გამოცდილების მიღება. სწორედ ამიტომ, თუ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას შეეხება საკითხი, აუცილებლად, პარალელურ რეჟიმში აქცენტი უნდა გაკეთდეს ამ სფეროში განათლების მიღების შესაძლებლობებსა და ხელმისაწვდომობაზე. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიმართ ინტერესის გაჩენის და ამ სფეროში საქმიანობის დაწყების სურვილის შემთხვევაში, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ახალბედები არიან ამ სფეროში, წარსულში არ აქვთ მიღებული საჭირო ცოდნა და გამოცდილება, უნდა შეეძლოთ ლოკალურ დონეზე, ანუ იქ სადაც ცხოვრობენ, განათლების მიღება. ამას კი შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა სჭირდება. მათ უნდა შეეძლოთ საბაზისო უნარების და ჩვევების გამომუშავება.

კვლევამ ცხადყო, რომ სოფლებში არ არის იმის რესურსი, რომ ახალგაზრდებმა სასოფლო-სამეურნეო დარგების შესახებ ადგილობრივ დონეზე მიიღონ

გარკვეული ცოდნა. ასევე, საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ქალაქშიც კი არ არის იგივე პირობა შექმნილი. ეკო-მიგრანტები საუბრობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ბათუმის უნივერსიტეტში აგრარული მეცნიერებების ფაკულტეტზე მისაღები ადგილების სიმცირე, აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რესპონდენტი საუბრობს უფასო ჩარიცხვაზე. ერთ-ერთმა ეკო-მიგრანტმა კი თქვა რომ ამ დარგში როგორც განათლების მიღება ასევე დასაქმებაც და გარკვეული შემოსავლის ქონაც შესაძლებელია.

„ბათუმის უნივერისტეტში არის, მაგრამ როგორც ვიცი შეზღუდულია. 10 ის მიღება შეიძლებოდა წელს უფასოზე“ (ეკო მიგრანტი, აჭარა).

„სამუშაო არის ქობულეთში, არის გვარაში, 700 ლარია ხელფასი. არის სწავლება, განათლების შესაძლებლობაც არის“ (ეკო მიგრანტი, აჭარა).

აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სფეროში აკადემიური განათლების მიღება, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, შესაძლებელია ბათუმში არსებულ უნივერსიტეტში. რაც შეეხება განათლების მიღების შემდეგ დასაქმების შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის სფეროში, ამბობენ, რომ ამის რესურსი ნამდვილად არის სოფლებში. აგრარულ სფეროში დასაქმება, რესპონდენტებისთვის მხოლოდ მიწის დამუშავება, ან საქონლის მოვლა არ არის. ისინი თვლიან რომ ამ სფეროში დასაქმება ქალაქშიც შესაძლებელია.

„განათლება შეგიძლია მიიღო ბათუმში და დასაქმდე უკვე რაიონშია... ზოგი ფირქრობს, რომ დასაქმება სოფელშია მხოლოდ მიწაზე. თუ ისწავლი და განათლებული იქნები, ბათუმშიც შეიძლება დასაქმდე“ (ეკო მიგრანტი, აჭარა).

სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების მიღების საშუალებებიდან, უნივერსიტეტის და პროფესიული სასწავლებლების გარდა, რესპონდენტები ასახელებენ ისეთ წყაროებს, როგორებიცაა ოჯახის წევრების გამოცდილება ამ სფეროში, ინტერნეტ რესურსები, კოლეჯები, წიგნები. ისინი თვლიან, რომ ინტერნეტის მეშვეობით ძალიან ბევრი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი და,

ამავე დროს, გარკვეული უნარების შეძენა. რესპონდენტები ყველაზე ეფექტურ ინტერნეტ საიტად ასახელებ „YouTube”-ს. ასევე საუბრობენ ტრენინგებზე. მაგალითად, ბათუმში ჩატარდა ტრენინგი მეფუტკრეობაზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ მსგავსი ღონისძიებები ძალიან ეფექტურ შედეგებს იძლევა, რადგან ამ სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირებმაც კი მიიღეს ისეთი ინფორმაცია, რაც აქამდე არ ქონდათ და ძალიან დიდი სტიმულითა და ინტერესით ელოდებიან შემდეგ ტრენინგებს.

> *„ინტერნეტში ვუყურებ რაღაცეებს“* (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა)
>
> *“ინტერნეტის საშუალებითაც შემიძლია. სწორედ ასე დავიწყე ჩემი მწვანილის ბიზნესი”* (გორის რაიონის სოფლის ახალგაზრდა);
>
> *„უმაღლეს სასწავლებელში, და პროფ სასწავლებელში, უმეტესად ოჯახის უფროსი წევრებისგან“* (ბათუმში მიგრირებული ახალგაზრდა);
>
> *„რაც კი რამე ვიცი ყველაფერი ინფორმაცია ოჯახიდან მაქვს მიღებული“* (სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა, კახეთი);

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ სოფელში არის მეღვინეობის სკოლა, რაც ცოდნის და გამოცდილების მიღების ძალიან კარგი საშუალებაა ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის.

> *„ჩემთან არის მეღვინეობის სკოლა, სოფელში. ბოლომდე ვერ მივყევი, ისე ძალიან საინტერესო იყო და სასარგებლო“* (ქ. თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).

რაც შეეხება რესპონდენტების ინტერესს და სურვილს შეისწავლონ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი და ამ სფეროში განაგრძონ საქმიანობა, განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მაგალითად, თელავის სოფლების მკვიდრი ახალგაზრდებისთვის ყველაზე მეტად სასურველი სფერო და დარგი აღმოჩნდა მეღვინეობა-მევენახეობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვენახის

კულტურა კახეთში ფართოდ არის გავრცელებული და ასევე, ახალგაზრდებს გარკვეული საბაზისო წარმოდგენები, ცოდნა და გამოცდილება აქვთ ამ სფეროში. მათ ნაწილს აქვს სურვილი, რომ სწავლა ამ მიმართულებით განაგრძოს, ან დაიწყოს, თუმცა ამ რესპონდენტების ნაწილი შემაფერხებელ ფაქტორებად ფინანსებს ასახელებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როგორც მარნების გაკეთება და საკუთარი ღვინის საწარმოს შექმნა სურთ, ასევე უნდათ სპეციფიკური და კონკრეტული კუთხისთვის დამახასიათებელი საქმიანობების დაწყება, რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს იმის საჭიროება, რომ დამატებითი ცოდნა მიიღონ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგთან დაკავშირებით, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მომავალში საჭიროების შემთხვევაში ეს ნაბიჯი გადადგან. გამოკითხულთა აზრით, ახალგაზრდების ინტერესის ზრდას სასოფლო სამეურნეო საქიანობების მიმართ ყველაზე მეტად გამოიწვევს ამ სფეროს განვითარება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისგან გარკვეული ფინანსური სარგებლის ნახვა. ასევე, ისინი ამბობენ, რომ დაინტერესების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმ ახალგაზრდებში იქნება, რომლებსაც მემკვიდრეობით გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ერგოთ და შეუძლიათ გარკვეული სახის საქმიანობა წამოიწყონ.

> *„მერე რაც დამჭირდება ნელ-ნელა შევისწავლი, როცა დამჭირდება მაშინ. ახლა სწავლა რომ დავიწყო მაგის აუცილებლობა არ არის“ (თელავში მცხოვრები ახალგაზრდა)*
>
> *„ადამიანებს ვისაც მემკვიდრეობით ერგოთ ტერიტორიები და ადგილები, ის ისწავლის რატომაც არა, ინტერესიც გექნებოდა რომ გქონდეს ბევრი ადგილი“ (თელავში მცხოვრები ახალგაზრდა)*

რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ მათი ინტერესი ამ სფეროში განათლების მიღებისა დიდია. მათ სურთ შესაბამის დაწესებულებებში, იქნება ეს პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები თუ უნივერსიტეტები, ცოდნის მიღება, რადგან თვლიან რომ ცოდნის გაღრმავება იმ საქმეში, რასაც აკეთებ

აუცილებელია და ამიტომ საჭიროა შესაბამისი აკედემიური განათლების მიღებაც.

- *„აუცილებლად ვისწავლიდი სოფლის მეურნეობის შესახებ რაღაცებს, რაც მაინტერესებს“* (გორი, სოფლის ახალგაზრდა)

ფოკუს-ჯგუფებში გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს გარდა მეღვინეობა-მევენახეობისა, სხვადასხვა ჯიშის ხეხილის კულტურების მოყვანა, გამრავლებაზეც აქვთ გარკვეული ცოდნა, რაც იმის მანიშვენებელია რომ ისინი ამ ცოდნას პრქტიკაშიც იყენებენ.

- *„ვენახსაც ვამყნობ, ხეხილსაც ვამყნობ უკვე, მე პირადად შემიძლიადა რა ვიცი“* (თელავში მცხოვრები ახალგაზრდა)

თელვაში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმაციით **თელავის** უნივერსიტეტში აგრარულ ფაკულტეტებზე სწავლა არის უფასო, რაც მათი აზრით უნდა ყოფილიყო ახალგაზრდებისთვის სტიმულის მიმცემი, რომ ამ მიმართულებით გაეგრძელებინთ განათლების მიღება. კვლევამ ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში, ეს ასეც ხდება. რესპონდენტების თქმით, სტუდენტები როგორც პირველად, ისე მეორად პროფესიებს ძირითადად აგრარული ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე იღებენ. აშკარად იზრდება ინტერესი სოფლის მეურნეობის სფეროს მიმართ, თუმცა აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ინტერესს მაინც მეღვინეობის მიმართ იჩენენ.

- *„პარალელურად არის მეორადი ფაკულტეტები, მე ვაპირებ კერძო განხრაზე ვისწავლო მაგალითად მეღვინეობა, მართლა ძალიან ბევრის მომცემია. პრაქტიკული მეცადინეობებიც არის და საინტერესოა“* (ქ. თელავში მცხოვრები ახალგაზრდა)

მარნეულში მცხოვრები ახალგაზრდები ამბობენ, რომ ადგილზე არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სადაც შესაძლებელია აგრო სფეროში გარკვეული ცოდნის მიღება, თუმცა თუ ამის შესაძლებლობა გაჩნდება, რასაკვირველია, გაიზრდება ახალგაზრდებში ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართ. დუშეთის რაიონის სოფლებში და არც უშუალოდ რაიონულ ცენტრში არ არსებობს რაიმე

დაწესებულება, რაც ამ სფეროში განათლებას მისცემდა ახალგაზრდებს. რესპონდენტების თქმით, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობას ქალაქში არ უნდა უხდებოდეს ჩასვლა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად. ინფორმაციის მოძიების ძირითადი წყარო არის ინტერნეტი.

> *„იონჯას რომ თესავს მამაჩემი, საქონლის საკვებს, ისიც ინტერნეტიდან გაიგო როგორ უნდა მოევლო, როგორ შეეწამლა“* (დუშეთი, სოფლიდან მიგრირებული ახალგაზრდა).

კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ სოფელში ვეტერინარიც კი არ ყავთ. მიუხედავად იმისა რომ იყო შესაძლებლობა ამ პროფესიის დაუფლების, საზოგადოების წევრების მხრიდან ინტერესი არ იყო, რაც რასაკვირველია ძალიან ცუდ ფაქტად აღიქმება. როგორც გამოკითხულები ამბობენ, ვეტერინარებს არ აქვთ სტაბილური ხელფასი. მათი შემოსავალი გამომუშავებაზეა დამოკიდებული, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მათ სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას. ეს კი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია იმისა, რომ ამ სპეციალობაზე მოთხოვნის მაჩვენებელი არის შედარებით დაბალი. რესპონდენტები ამბობენ, რომ ვისაც ოჯახში ცხოველების ფერმა აქვს, ან თუნდც რამდენიმე მსხვილფეხა ცხოველი ყავს, აუცილებლად უნდა ფლობდეს ისეთ ბაზისურ უნარებს, როგორიცაა მათი მოვლა, მკურნალობა, ის თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადსხვა დაავადებების დროს. ცხოველებში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადებაა ციმბირის წყლული, რაც ძალზე დიდი საფრთხის შემცველია და დროული რეაგირების უქონლობის შემთხვევაში სწრაფად ვრცელდება სხვა საქონელზეც და იწვევს მათ მოკვდინებას. სწორედ ესეთი ფაქტი დაფიქსირდა ბაზალეთზე. რესპონდენტები ამბობენ, რომ ეს უცოდინრობით არის გამოწვეული.

> *„ჩვენთან ხელფასი არ აქვს ვეტერინარს, რომ დაუძახებ ეგეთ საქმეზე ჩვენ თვითონ ვაძლევთ ხელფასს ეგრე გამოდის“* (დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფლის ახალგაზრდა)

თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები ამბობენ, რომ მათთან არის პროფესიული სასწავლებელი/კოლეჯი, სადაც ასწავლიან სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს. გამოკითხულები ასევე ამბობენ, რომ მსგავსი საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობს გორში, თუმცა იქ სიარული და ლექციებზე დასწრება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული სოფლის მოსახლეობისთვის.

რესპონდენტები იხსენებენ ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა საცდელი ბაღების გაშენება შხამ-ქიმიკატების ვარგისიანობის დასადგენად, რასაც თავისთავად დადებითად აფასებენ. ასევე, იხსენებენ ისეთ შემთხვევებს, როცა ახალგაზრდამ შესაბამის ფაკულტეტებზე სწავლის დასრულების შემდეგ გახსნა ქათმების ფერმა, ან მარანი.

- *„მე ვიცნობ ადამიანს, რომელსაც ჰქონდა საცდელი ბაღი, სადაც ცდიდა შხამ ქიმიკატებს, აგრეთვე თესლებს“* (გორი, ქალაქში მაცხოვრებელი ახალგაზრდა)

  „ჩემ სოფელში რამდენიმე ადამიანმა დაიწყო მევენახეობა და შემდეგ სპეციალურად ჩაბარა სასწავლებელში, გახსნა მარანი. ერთ-ერთმა კი სწავლის შემდეგ, ქათმების ფერმა გააკეთა. ასეთები ერთეულები არიან“ (გორი, სოფლის ახალგაზრდა).

სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობის დაწყების შემთხვევაში ერთ-ერთ ბაზისურ მოთხოვნად, რომელსაც ახალგაზრდები საკუთარ თავს უყენებენ, არის ის, თუ რამდენად მომგებიანი იქნება ეს საქმე ფინანსურად. როგორც კვლევამ აჩვენა, ახალგაზრდების ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლების მისაღებად და თუ არჩევანის გაკეთება მოუწევთ, ურჩევნიათ უნივერსიტეტში სხვა სპეციალობას დაეუფლონ.

„გააჩნია პროფესიული სწავლების შემდეგ როგორი ანაზღაურება მექნება“ (გორი, სოფლის ახალგაზრდა)

„თუ არჩევანი მექნება სოფლის მეურნეობის სწავლებასა და უნივერსიტეტში სწავლას შორის, უფრო მეორეს ავირჩევ“ (გორი, სოფლის ახალგაზრდა)

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ექსპერტებს, მათი ნაწილი თვლის, რომ საქართველოში აგრარული განათლების მიღება გარკვეულ ბარიერებთანაა დაკავშირებული. არ არის საკმარისი როდენობით პროფესიული სასწავლებლები და კოლეჯები, სადაც ამ სფეროში მიიღებს ადამინი განათლებას. მათი აზრით, აუცილებელია როგორც თეორიული ცოდნის მიღება, ასევე პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაც. უნდა ხდებოდეს მათი სინთეზური გამოყენება. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ექსპერტები ეჭვის ქვეშ აყენებენ სასოფლო სამეურნეო დარგებში არსებული სპეციალისტების კვალიფიციურობის დონეს და ამბობენ, რომ თანამედროვე აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანების კვლიფიციურობა საკმაოდ პრობლემური საკითხია.

„საერთოდ კვალიფიკაცია თანამედროვე აგრარულ სექტორში პრობლემაა“ – (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო)

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ყველა რეგიონში არსებობს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახური, რომლებიც შეიძლება ისე მოდიფიცირდეს, რომ განხორციელდეს დაინტერესებული პირებისთვის გარკვეული ცოდნის მიწოდება ადგილზე სწავლების საფუძველზე. მიღებული ცოდნის გამოყენებას კი პრაქტიკაშიც შეძლებენ, ფერმერებთან ერთად. ასევე, არსებობს რამდენიმე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც შესაძლებელია ამ სფეროში ცოდნის მიღება. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დონორი ორგანიზაციები არასდროს ამბობენ უარს სოფლის მეურნეობის სფროში ტრენინგების ჩატარებაზე, გარკვეული გრანტების გაცემაზე და ასევე, დაინტერესებული პირების საზღვარგარეთ გადასამზადებელ კურსებზე გაშვებაზე, თუმცა

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინტერესი ამ სფეროში საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით დაბალია.

- *„ჩვენ ყველა რეგიონში გვაქვს სოფლის მეურნეობის სამსახურის საკონსულტაციო სამსახურები, ახლა საუბარია რომ ეს სამსახური ექსტენციის სამსახურებად გადაკეთდეს, რომ მუდმივი სწავლებები მოხდეს ადგილზე, ვასწავლით და შემდეგ ამ ცოდნას ფერმერებთან ადგილზე გამოიყენებენ“* – (სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის დარგობრივი განვითარების სამმართველო)

- *„კაჭრეთში არის პროფტექნიკური სასწავლებელი, რომლის დამთავრებაც არის პრესტიჟული, რადგან იქ უკვე პროფესიას აძლევენ.“* – (სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის დარგობრივი განვითარების სამმართველო)

კვლევის შედეგად გამოვლინდა ერთი საინტერესო პროექტი, რომელსაც ახორციელებს განათლების სამინისტრო, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. ეს პროექტი ხორციელდება გაეროს მხარდაჭერით. მისი მიზანია საქართველოს რეგიონებში ისეთი პროფესიული სასწავლებლების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დარგების კუთხით, რომლებიც ახალგაზრდებს არა მარტო თეორიულ ცოდნას აწვდის, არამედ ზრუნავს მათთვის პრაქტიკული გამოცდილების მიწოდებასა და შემდეგ დასაქმებაზე. ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ ეს პროექტი წარმატებით ხორციელდება საქართველოს ხუთ რეგიონში. ახალგაზრდების დიდი ნაწილი სხვადასხვა საწარმოში დასაქმდა და გარკვეულ ანაზღაურებასაც ღებულობს. მნიშვნელოვანია ინტერესის და მოტივაციის ქონა, რადგან რესურსები განათლების მისაღებად ნამდვილად არსებობს. ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, რომ პროფესიული სასწავლებლები აღჭურვილია საჭირო რესურსებითა და ინვენტრით, მასწავლებლები არინ კვალიფიცირებულები.

„პროფესიული სასწავლებლები ინფრასტრუქტურულად რეაბილიტირებულია მასწავლებლებსაც აქვთ გავლილი გადამზადება“ (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია)

„სტუდენტების 50 პროცენტი თეორიის სახით გადის სწავლებას კოლეჯებში, ნახევარი კი პრაქტიკულ წვრთნას გადის საქართველოში ყველაზე წარმატებულ საწარმეობსა თუ კომპანიებში“ (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია);

„სტუდენტების უმრავლესობას, მათ ვისაც საწარმოები მოიწონებენ და ჩათვლიან შრომისუნარიანად, დაინტერესებულად და რაც მთავარია მოტივირებულად, იტოვებენ თანამშრომლებად, ეს არის უდიდესი მოტივაცია სტუდენტებისთვის“ (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია)

16. პოზიტიური გავლენის მქონე ინტერვენციები სოფლის მეურნეობის სფეროში

ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორში საქართველოს მთავრობის ძალისხმევის ძირითადი ეტაპები იყო:

- სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების დანერგვა სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოს (AMPA) მეშვეობით;
- სოფლის მეურნეობის კოოპერაციების განვითარების სააგენტოს დანერგვა (2013); საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2015-2020 (2015);
- საქართველოს მთიანი რეგიონების შესახებ კანონის მიღება (2015) და სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება 2017-2020 (2017);

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კუთხით დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები;

დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია: ENPARD (EU), ZRDA აქტიურობა (USAID), REAP (USAID). *განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პროექტი, რომელიც დაფინანსდება DANIDA-ს მიერ და განხორციელდება IFAD- სა და APMA-ს მიერ.* ეს იქნება საგრანტო მხარდამჭერი პროგრამა ახალგაზრდა მეწარმეებისთვის სოფლის მეურნეობაში (დიწყება 2018 წელს). სხვა მცირე ინიციატივების გამოცდილება, რაც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს არის ახალგაზრდული მეწარმეობის სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა MFO Crystal-ის, USAID-ის და PH International-ის თანამშრომლობის შედეგად.

სოფლებში ახალგაზრდებთან დაკავშირებული პროექტების გახორციელება მიმდინარეობდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და დონორი ორგანიზაციების ფინანსებით. საინტერსო პროექტები განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციების მიერ: World Vision, People In Need, Red Cross, Peace Corps Georgia, Europe Foundations და სხვები. ამ ორგანიზაციების მიზნები და პროექტები სოფლად იყო ფართო მასშტაბის და მოიცავდა: ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა (თითოეული მიზნობრივი ან სხვა მოწყვლადი ჯგუფები) საზოგადოებრივ ეკონომიკაში, პოლიტიკურ სოციალურ ცხოვრებაში; მათი გაძლიერება და მოხალისეობის წახალისება; საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ა.შ.. ეს პროექტები კონკრეტულ რეგიონებზე და ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების კონკრეტულ ასპექტებზე იყო მიმართული.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა **ინტერვენციები/მოქმედებები განხორციელებულა ან უნდა განხორციელდეს მომავალში სოფლის მეურნეობის სფეროში**, რათა აშკარა გახდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში და რამდენად ეფექტურ შედეგებს იძლევა მათი ჩართულობა საქმიანობის ამ სფეროში.

რესპონდენტებს ვთხოვეთ, გაეხსენებინათ რაიმე სახის წამახალისებელი ღონისძიება, რომელიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების კუთხით სხვადასხვა ორგანიზაციების, ინსტიტუციების თუ სტრუქტურების მიერ. ეკომიგრანტებთან და დევნილებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს ვაუჩერებზე, რომლებიც შეეძლოთ გამოეყენებინათ მიწის ნაკვეთების უფასოდ მოსახნავად. ისინი ამბობენ, რომ ეს ვაუჩერები გამოიყენეს, როგორც მათ, ასევე, მათმა მეზობლებმა: *„ვაუჩერი იყო ტრაქტორების გამოყენებისთვის, რომელიც იყიდეს, რომლითაც შეილებოდა მოხვნა“* (ეკომიგრანტების/დევნილების ჯგუფი).

რესპონდენტები უარყოფითად აფასებენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დახმარება მხოლოდ დასამუშავებელი მიწის ნაკვეთის მოხვნას ითვალისწინებდა. შემდგომი ნაბიჯები, რაც უკვე დათესვას გულისხმობს, თავად მეპატრონეს უნდა განეხორციელებინა საკუთარი ხარჯებით, რისი ფინანსებიც, რესპონდენტების თქმით, მოსახლეობას არ ჰქონდა. გარდა ამისა, ბათუმში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ წინა წლებისგან განსხვვებით, წელს მსგავსი ვაუჩერების დარიგება არ განხორციელებულა: *„მოხვნა და არა დათესვა, რაც ცუდი იყო, რომ მოხნავდი, მერე დათესვა გინდებოდა, მაგრამ ამის საშუალება არ იყო.“* (ეკომიგრანტი, აჭარა).

გარდა სახელმწიფოს მხრიდან გაწეული დახმარების ნაკლოვანებებისა, რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს ახალგაზრდების დამოკიდებულებებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებთან მიმართებით. გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ საზოგადოების ამ სეგმენტს არ აქვს მიწასთან მუშაობის ინტერესი, რადგან ამ საქმიანობაში სარგებელს ვერ ხედავენ: *„ახალგაზრდები ფიქრობენ რომ არ აქვს მიწასთან მუშაობას აზრი“* (იძლებით გადაადგილებული ახალგაზრდა, აჭარა).

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ეკომიგრანტებსა და დევნილებს არაფერი სმენიათ იმ/ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ამ სფეროში ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს.

ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, მათი საქმიანობისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია სოფელსა და ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე ეკომიგრანტებსა და დევნილებს. თუმცა, რესპონდენტების ამ სეგმენტშიც გამოიკვეთა ის ნაწილი, რომელსაც არაფერი სმენია მსგავსი ორგანიზაციებისა თუ პროექტების შესახებ. ზოგი ამბობს, რომ არ ახსენდება, ზოგიერთებმა ცალსახად არ იციან, ზოგიერთები კი ამბობენ, რომ *„ვინც დაინტერესებულია სოფლის მეურნეობით ალბათ იმან იცის. მე - არა, არ მსმენია“* (სოფლის ახალგაზრდა თელავის მუნიციპალიტეტიდან).

რესპონდენტები იხსენებენ ისეთ პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და მასში მოსახლეობის ჩართვას გულისხმობდა. *„ფულად კომპენსაციას ურიგებდნენ რომ აეშენებინათ სახლები და აბაზანები, ტურიზმის განვითარებისთვის“ (ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდა).*

ასევე, ისინი ასახელებენ გარკვეულ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანიც ფერმერთა საქმიანობის ხელშეწყობა იყო. მათი დახმარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები რგავენ ზეთისხილს, კაკალს და ა.შ., რისგანაც იღებენ ფულად შემოსავალს. თუმცა საგულისხმოა, რომ მსგავსი ორგანიზაციების მიერ მათი ბენეფიციარებისთვის გაწეულ დახმარებას გარკვეული „ჩასესხების“ სახე აქვს, რადგან ჩადებული ინვესიტიციის უკან

დაბრუნებას ითხოვენ ბენეფიციარებისგან, მას შემდეგ რაც ისინი მოსავალს მოიწევენ და მათი საქმიანობა გახდება ფინანსური შემოსავლის წყარო.

დისკუსიის მონაწილეები, ასევე, იხსენებენ ქობულეთში ჩატარებულ ციტრუსის ფესტივალს. ისინი ფიქრობენ, რომ ტურისტულ სეზონზე აუცილებელია ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვის გამართვა, რაც შემოსავლის ერთგვარი წყარო გახდება. ამის მიზეზად კი ქართულ პროდუქციასთან მიმართებით ტურისტების ინტერესს და ძლიერ მოწონებას ასახელებენ.

- *"უცხოელები გიჟდებიან ქართულ ნაწარმზე. უნდა მოეწყოს ხოლმე გამოფენა-გაყიდვები, უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, და იქნება შემოსავალი" (აჭარის რეგიონის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა).*

რესპონდენტები ყველაზე ხშირად ასახელებენ ისეთ წამახალისებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს, როგორებიცაა: „აწარმოე საქართველოში" და უფასო ვაუჩერების დარიგება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის თუ რესურსის შესაძენად. გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელთა ბიზნეს-გეგმა დაფინანსებულა პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში გამოცხადებული გრანტით, ამბობს, რომ ეს პროგრამა ძალზე უწყობს ხელს ინდივიდუალური ბიზნესის განვითარებას. რაც შეეხება უფასო ვაუჩერებს, ამ უკანასკნელსაც დადებითად აფასებენ, რადგან გლეხებმა შეძლეს უფასოდ გამოეყენებინათ ტრაქტორი, შეეძინათ შხამ-ქიმიკატები, სათესლე მასალა, მოსახლეობას დაურიგდა სასუქი და საწვავი. ასევე, ასახელებენ ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა „სტარტაპი", ამერიკის საელჩოს მიერ განხორციელებული პროგრამები, ევროკავშირის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სფეროში გამართული ტრენინგები და ა.შ. როგორც ვხედავთ, კვლევაში მონაწილე პირები დადებითად აფასებენ სახელმწიფო თუ კერძო *სექტორის მიერ გაწეულ დახმარებებს: „აწარმოე საქართველოს პროგრამაში,*

მაგალითად, შარშან მამაჩემმა მიიღო დაფინანსება“(დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა); „ჩვენს სოფელში არასამთავრობოები იყვნენ ჩამოსულები და 2600 ლარის ფარგლებში შეგვეძლო გვეყიდა ტრაქტორი, ან სხვა რამ. ესეც ხომ დახმარებაა, ჩუქება გამოდის.“ (გორის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა); „ამერიკის საელჩოს აქვს პროგრამები, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება“ (ქ. გორში მცხოვრები ახალგაზრდა).

სახელმწიფო პროგრამების გარდა, მსგავსი პროექტების ორგანიზატორებად რესპონდენტები ასახელებენ ისეთ ორგანიზაციებს, როგრებიცაა „ქეა“, „აგრო ქართული“, “ეისიდიეი (ACDA)”, ამერიკის საელჩო, ევროკავშირის ორგანიზაცია და ა.შ.. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს უშუალოდ საკუთარ ორგანიზაციაზე „მინდია“, რომლის საქმიანობის ძირითადი სფერო არის სოფლის მეურნეობა. კერძოდ, ახორციელებს ნიშური პროდუქტის კვლევას; ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობა კი ეხმარება, რათა გახსნან საინფორმაციო ცენტრი, სადაც დაინტერესებული პირები მიიღებენ სრულყოფილ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის შესახებ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საუბრობენ იმ **ნეგატიურ გამოცდილებაზეც**, რომელიც სოფლის მეურნეობის პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეიქმნა; იხსენებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც განსაზღვრული დაფინანსების საფუძველზე აშენებულ ფერმაში საქონელი დაეღუპათ, რაც ფერმის გაუქმების საფუძველი გახდა. ასევე, ზოგიერთები ამბობენ, რომ ერთჯერადი ვაუჩერები არ არის საკმარისი. რესპონდენტები იხსენებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სოფლის მეურნეობაში გარკვეული ინვესტიციის ჩასადებად, მოსახლეობამ გამოიტანა ე.წ. საბანკო სესხები, რისი გადახდაც ვეღარ შეძლეს და სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ: *„მე რაც გამიგია, მოსახლეობა ბანკიდან იღებს*

სესხებს, რომ სოფლის მეურნეობაში ჩადოს ფული და შემდეგ სერიოზული პრობლემები ექმნებათ" (ქ. თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).

რესპონდენტების შეფასებების მიხედვით, არსებული პროგრამები, რომლებიც სასოფლო ნაკვეთების მოვლას ითვალისწინებს, **ვერ გახდება ახალგაზრდების წამახალისებელი, ან მათთვის სტიმულის მიმცემი, რომ აქტიურად ჩაერთონ სოფლის მეურნეობაში და საქმიანობა დაიწყონ ან გააგრძელონ ამ სფეროში.** ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლება სოფლის მეურნეობის დარგებთან მიმართებით. უნდა განხორციელდეს ახალგაზრდების ინფორმირებულობა; საჭიროა, ასევე, გარკვეული საგანმანათლებლო მოდულების შემუშავება, რაც საშუალებას მისცემს მიიღონ ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგებში.

> *„მოხვნა-დათესვის პროგრამა ჩართულობას ვერ გაზრდის, მე ვფიქრობ ყველაზე მთავარი არის განათლება ახალგაზრდებში, ბევრი სასწავლო ცენტრის გაჩენაა საჭირო" (აჭარის რეგიონის სოფელში მცხოვრები ახლგაზრდა).*

ერთ-ერთმა ექსპერტმა, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში, ისაუბრა იმის თაობაზე, ძირითადად რა მიმართულებით ნაწილდება/უნდა განაწილდეს ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია საზოგადოების ახალგაზრდა სეგმენტის სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში ჩართვისთვის. მან აღნიშნა, რომ მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის **არაფორმალური განათლების** მიწოდება. ის საუბრობს ისეთი ინსტიტუციების შექმნაზე, რაც ახალგაზრდებზე იქნება მორგებული და ფოკუსი იქნება ამავე სეგმენტის დასაქმება და მათთვის სპეციფიკური და აუცილებელი უნარების გამომუშავება. ექსპერტის მიერ ნახსენები პროექტი „ახალგაზრდული მუშაკი", რაც ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული, ძირითადად, საწყის ეტაპზე, მეწარმეობითი უნარების გამომუშავებას გულისხმობს ახალგაზრდებში, რაც თავისთავად სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს. გასათვალისწინებელია, რომ

ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი არ ავლენს მიწასთან მუშაობის ინტერესს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც სასოფლო სამეურნეო საქმიანობას ეწევიან. *„ჩვენი ამოცანაა მეწარმეობით უნარების განვითარებაზე საპილოტე პროგრამების განხორციელება და, ზოგადად, ქსელური პლათფორმის შექმნა ამ კუთხით“ (ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდის წარმომადგენელი); „ინტერესი არის გარკვეულ ჯგუფში, თუმცა არსებობს მარგინალური ჯგუფებიც, რომლებიც, რაღაც პრობლემების გამო, საერთოდ არ მუშაობენ მიწასთან, ან, პირიქით. ქალაქში გამორბიან“ (ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდის წარმომადგენელი).*

ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეგიონებში სოფლის მეურნეობის დარგებში ახალგაზრდების ინტერესების ასამაღლებლად და მათი სოფლიდან ქალაქში მიგრირების თავიდან ასაცილებლად, მისმა ორგანიზაციამ წამოიწყო ე.წ. „სოციალური მეწარმეობის“ პროექტი.

როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, მის ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან პროქტებს ახორციელებს ახალგაზრდებისთვის სოფლის მეურნეობის დარგში. ასახელებს ისეთ პროექტს, როგორიცაა „დანერგე მომავალი“, რაც გარკვეულ სუბსიდიებს ითვალისწინებს ბენეფიციარებისთვის, იქნება ეს სარწყავი სისტემის სუბსიდირება, სანერგე მასალითს სუბსიდირება და ა.შ. ამ პროექტის ფარგლებში, მასში ჩართულ პირებს შეუძლიათ სხვადსხვა აქტივობების განხორციელება. ექსპერტები, ასევე, საუბრობენ „აგრო დაზღვევის“ პროექტზე სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობისთვის, „იაფი კრედიტის“ პროგრამაზე და სხვ. *„მიწები არის ძალიან დანაწევრებული. ამ პატარა ფართობებზე ტექნოლოგიებს ვერ დანერგავ, მექანიზაციის დონეს ვერ გამოიყენებ ისე, როგორც დიდ ფართობებში.“ „დანერგე მომავალი“ ძალიან კარგი და წარმატებული პროექტია, იმიტომ, რომ დადის ინდივიდუალურად მცირე და*

საშუალო ფერმერამდე, მათ საჭიროებებამდე“ (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი). „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია „აგროკრედიტის“ პროექტი, „იაფ სესხს“ რომ ეძახიან იცით ალბათ, იმიტომ რომ ,ნებისმეირი ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახდა ბანკის ფული და ფინანსები“ (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი).

როგორც კვლევაში ჩართული ექსპერტი ამბობს, პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში მომავალ წელს გრანტის მიღება შეეძლება უფრო მეტ ახალგაზრდას, ვიდრე წელს იყო. იზრდება საპროექტო გრანტის მოცულობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იმ პირებს, ვისაც არ აქვთ საპროექტო განაცხადების წერის გამოცდილება, შეეძლებათ დახმარება მიიღონ ორგანიზაციის წევრებისგან, რომლებიც დაწვრილებით და ნაბიჯ-ნაბიჯ აუხსნიან თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს აპლიკაციის შედგენა/შევსება. *„არ გზღუდავენ, შესაძლებელია აგროტურიზმის განვითარების კუთხით, რომ იმუშაო. სახლი გაქვს, რამდენიმე ნომერი გააკეთე წარადგინე ეს პროექტი და ამ კუთხით წაიმუშავე“ (სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).*

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პროგრამებზე, პროექტებზე, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებზე ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის საზოგადოება, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ამ დარგების განვითარებაზე. ცალსახად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონის ამაღლება, რაც რასაკვირველია, გაზრდის ინტერესს და მონაწილეობას სოფლის მეურნეობაში. საზოგადოების წევრებს არ აქვთ ცოდნა და იმ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილება, რომლებიც სოფლის მეურნეობაში საქმინობას უფრო მარტივს და ეფექტურს ხდის. ასევე, შეინიშნება სიახლის მიმართ შიში და შესაბამისად არჩევენ აკეთონ ის, რისი გამოცდილებაც უკვე აქვთ. მეორე მხრივ, ექსპერტები

აღნიშნავენ, რომ ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ატარებენ საინფორმაციო/საგანმანათლებლო ტრენინგებს, ღონისძიებებს, რაც ინფორმირებულობის და ცოდნის დონის ამაღლებას უწყობს ხელს; შესაბამისად, ინერგება ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკაც: *"ყველაზე მეტად რაც აკლია ფერმერებს, არის ცოდნა ინოვაციური ტექნოლოგიების დარგში, შესაბამისად, სიახლეებისა და ტექნოლოგიების დანერგვა" (სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).*

რესპონდენტები ამბობენ, რომ აგრარულ სექტორში ახალგაზრდების ჩართვა არა მხოლოდ საქართველოსთვის არის პრობლემური საკითხი, არამედ ეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც კი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოსგან განსხვავებით, საზღვარგარეთის ქვეყნებში სტუდენტებს, რომლებიც აგრარულ ფაკულტეტებზე აგრძელებენ სწავლას, უფრო მეტი ხელშეწყობა აქვთ, რაც მათში სტიმულს და ინტერესს ზრდის. გამოკითხულთა აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს უცხოური პრაქტიკის გათვალისწინება და მისი მორგება ქართული რეალობისვის, რათა უფრო მეტი ახალგაზრდა და ამავე დროს უფრო აქტიურად ჩაერთოს სასოფლო სამეურნეო საქმიანობებში: *„ძალიან დიდი ინტერესია იმის, რომ აგრარულ სექტორში ჩაერთვნენ ახალგაზრდები და ეს ჩვენი პრობლემა არ არის მარტო, ეს მსოფლიოში ასეა... გვაქვს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, ახალგაზრდები როგორ და რანაირად მოიზიდონ, რომ ჩაერთონ სოფლის მეურნეობაში"(სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი).*

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელმა აღნიშნა, რომ პროექტების მართვის სააგენტოს ჯერ არ დუმტკიცებია ისეთი პროექტი, რომელიც უშუალოდ და მხოლოდ ახლგაზრდებზე იქნებოდა ორიენტირებული. თუმცა ამბობს, რომ ხორციელდება ისეთი პროექტები, რომლებშიც ახალგაზრდებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება: *„როგორც ასეთი, ცალკე, მხოლოდ ახალგაზრდებისთვის*

არაფერი შეგვიმუშავებია, ახლა იწყება პროექტი, რომელიც პირდაპირ არის მიმართული 35 წლამდე მამაკაცებზე და 40-წლამდე ქალბატონებზე... ტენდერი გამოცხადდება და ვინც ამ ასაკობრივ ჯგუფში იქნება, ის მოხვდება და ექნებათ მონაწილეობის უფლება."

ერთ-ერთმა ექსსპერტმა ისაუბრა პროექტზე, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სოფლისა და მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, EMPARD-ის ფარგლებში. პროექტის მიზანია, ქედის მუნიციპლიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. რესპონდენტი საუბრობს მუნიციპალიტეტში არსებულ „ამაგებზე" - აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებებზე, რაც მუნიციპალიტეტის ყველა თემში არსებობს და თითო ამაგის წევრების 30%-ს წარმოადგენენ ახალგაზრები. *„ახალგარზდები მოცულობით არიან წარმოდგენილები „ამაგებში" და იგივე პრინციპით ვაპირებთ ლაგების (Local Action Group) ჩამოყალიბებასაც. ჩვენ ვაპირებთ ახალგაზრდებისთვის გვქონდეს პროექტები, რომლებსაც დავაფინანსებთ. გვექნება ახლაგაზრდული მიმართულება და ჩართული იქნებიან ახალგაზრდები" („დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი").*

ერთ-ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების დიდი რაოდენობა იყო დასაქმებული არის „აჭარისწყალი ჯორჯია". ექსპერტი ამბობს, რომ ამ პროექტის ფარგლებში გაიცა გრანტები, როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში, ასევე მშენებლობზე, პროფილაქტიკაზე და ა.შ.. ყველაზე მეტი გრანტი გაიცა იმ პროქტებზე, რომლებიც მეფრინველეობასა და მესაქონლეობას ეხებოდა. პროექტის ბენეფიციარების 70-80%-ს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ადგილობრივ დონეზე, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მსურველი ახალგაზრდების რაოდენობა იმ შემთხვევაში მატულობს, როცა მათ არ აქვთ იმის საშუალება, რომ განათლების მიღების შემდეგ ქალაქში დარჩნენ საცხოვრებლად და, შესაბამისად, უწევთ რურალურ სივრცეში დაბრუნება. ეს კი, თავის მხრივ,

ხელს უწყობს სოფლებში აგრარული სექტორის განვითარებას. თუმცა დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევები, როცა ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება, თუმცა აღარ განახორციელა პროექტი, რის მიზეზადაც დროის უქონლობა დაასახელა. ეს, რასაკვირველია, გრანტის მიმღებისგან უპასუხისმგებლობის და დაბალი ინტერესის მაჩვენებლია, რაც დამატებითი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, ახლაგაზრდების დაინტერესის ზრდის კუთხით. ექსპერტი ამბობს, რომ მას შემდეგ რაც გრანტს მიიღებს პროექტის მონაწილე, შემდგომში მას უკვე გარკვეულ საკითხებში დახმარება უნდა აღმოუჩინოს სახელმწიფომ, რაც იშვიათად ხორციელდება.

- *„ყველაზე მეტად მეფრინველეობასთან და მეცხოველობთან დაკავშირებით იყო გაცემული გრანტები. წარმოდგენილი პროექტებიდან 70–80% პროცენტი ბენეფიციარებისა ახალგაზრდები იყვნენ... რა ბარიერიც ბენეფიციარებიდან მოდის, არის პასუხისმგებლობის ნაკლები გრძნობა და ასევე სახელმწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელს არ უწყობს სოფლის ახალგაზრდების მიზნობრივ დაინტერესებას“ („დემოკრატიის ინსტიტუტი“).*

კვლევის მონაწილე ერთ-ერთში ექსპერტმა ისაუბრა საქართველოში არსებულ ერთადერთ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდზე, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული კავშირების ფინანსურ მხარდაჭერას. ახალგაზრდების შემოტანილი საპროექტო განაცხადების დიდი ნაწილი ეხება სოციალურ მეწარმეობას, რომლის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი კავშირშია სოფლის მეურნეობასთან. პრიორიტეტული ლოკაციები, სადაც ფინანსდება პროექტები, უფრო მეტად არის სოფლები, რაც ამ სივრცეების გაძლიერებას გულისხმობს. რესპონდენტი საუბრობს ისეთ პროექტებზე, რომელთა ფრგლებშიც გაკეთდა

სამთო მექანიზაციის ცენტრი, სადაც ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოხდეს ინოვაციური მეთოდების გამოყენება და დანერგვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობების შესასრულებლად. პანკისის ხეობაში ჩატარდა მეფუტკრების შესახებ ტრენინგები და სწორედ ამ კუთხით გასცა ფონდმა გრანტი, მოეწყო მეფუტკრეობის ერთგვარი სივრცე ბაწარის ხეობაში, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა დასაქმდა. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სობისში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრი, რომლის ბაზაზე ხდება ვაშლის წვენის და ჩირის წარმოება. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და სოფლებში, სოფლის მეურნეობის კუთხით, ხორციელდება გარკვეული პროექტები, რომლის ფარგლებშიც საქმდებიან ახალგაზრდები.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდები ერთხმად აცხადებენ, რომ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება დადებით ასახვას იქონიებს ახალგაზრდებზე, რაც თავისთავად გაზრდის მათი მონაწილეობის დონეს საქმიანობის ამ სფეროში. ერთ-ერთი რესპონდენტი პარალელს ავლებს იმ ფაქტთან, თუ რა გვლენა იქონია ტურიზმის განვითარებამ ახალგაზრდებზე. ის ამბობს, რომ როგორც კი პერსპექტიული დარგი გახდა ტურიზმი, ახალგაზრდებმა დაიწყეს განათლების მიღება სწორედ ამ სფეროში. შესაბამისად, ის ფიქრობს, რომ მსგავსი სიტუაცია განმეორდება თუ მოხდება სოფლის მეურნეობის დარგების პოპულარიზაცია და განვითარება. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპონდენტები იხსენებენ ისეთ ბარიერებს, როგორებიცაა ბიზნესის მონოპოლიზება ერთი ორგანიზაციის ხელში, ან კიდევ მოსავლის განადგურება ბუნებრივი კატასტროფების საფუძველზე. შესაბამისად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ახალგაზრდები ვერ აღიქვამენ სოფლის მეურნეობას მომგებიან სფეროდ, მათ არ უჩნდებათ სურვილი დასაქმდნენ სწორედ ამ კუთხით: *„როდესაც არის პერსპექტივა, იმ დროს ემთხვევა, რომ ვრცელდება*

დაავადება, გახდა თხილი პოპულარული და შემოვიდა ფაროსანა. მანდარინიც არ არის წელს“ (ეკომიგრანტთა ჯგუფის წარმომადგენელი).

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა არის პერსპექტიული დარგი და თუ მოხდება მისი განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ამას დადებითი ასახვა ექნება, როგორც ზოგადად ქვეყანაზე, ისე უშუალოდ სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებზე.

- *„ჩვენი ქვეყანა ტერიტორიულად ისეთ ადგილზე მდებარეობს, რომ სოფლის მეორნეობას ეკონომიურად დიდი წინსვლა ექნება, მე ასე მგონია... „სოფლის მეურნეობის განვითარება მისცემს ახალგაზრდას საშუალებას, რომ სოფლიდან არ გამოიქცეს“(აჭარის რეგიონის სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა).*

გამოკითხულები ამბობენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდებს საჭირო დროს და საჭირო ადგილას მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია სოფლის მეურნეობის დარგების შესახებ. მათ უნდა გაიგონ, თუ რა დადებითი მხარეები აქვს ამ სფეროში განათლების მიღებას და შემდგომ - დასაქმებას. ასევე, ისინი ამბობენ, რომ საჭიროა ახალგაზრდების წამახალისებელი ღონისძიებების გატარება, რათა გაიზარდოს მოტივაცია და ინტერესი აგრარულ სექტორთან მიმართებით.

> *„სკოლებში და უნივერსიტეტებში უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, სხვანაირად არ გამოვა. უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების ინფორმირებულობა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებას იღებენ, თუ რა პროფესია აირჩიონ და რა მიმართულებით წავიდნენცხოვრებაში“ (ქ.თელავში მცხოვრები ახალგაზრდა).*

რესპონდენტების აზრით, ახალგაზრდების იდეები, დამოკიდებულებები, შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა თაობის წარმომადგენლების პრაქტიკისგან: მათი მიდგომები უფრო ეფექტურია, ვიდრე უფროსების; სიახლის მიღება და უფრო სწრაფად ათვისება ახალგაზრდებს უფროსებზე მეტად შეუძლიათ.

დასკვნა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობა ძირითადად ტრადიციულ დარგებთან ასოცირდება, როგორებიცაა: მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეციტრუსეობა და ა.შ. და ნაკლებად - იმ დარგებთან, რომლებიც, კვლევაში ჩართული ექსპერტების აზრით, განვითარებადი დარგებია - კენკროვანი კულტურები, მეჩირეობა, მეთხილეობა და ა.შ.

სოფლის მეურნეობა უფრო მეტად უარყოფით ასოციაციებს იწვევს ქალაქში მიგრირებულ ახალგაზრდებში, ვიდრე სოფლის ახალგაზრდებში. ქალაქის მაცხოვრებლებისთვის სოფლის მეურნეობა უპერსპექტივო და შრომატევად საქმიანობასთან ასოცირდება, მაშინ, როცა სოფლის ახალგაზრდებისთვის, ნეგატიური ფაქტორების გარდა, სოფლის მეურნეობა შემოსავალს, საქმიანობის გაფართოებას, პროდუქციის რეალიზაციასა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანას უკავშირდება;

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართ პოზიტიური ან ნეგატიური ასოციაციები ახალგაზრდებში განპირობებულია იმით, თუ რამდენად ახერხებენ მათი ოჯახები ან მათთვის ნაცნობი ფერმერები წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას. თუ რესპონდენტები იცნობენ ფერმერებს, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით კმაყოფილები არიან, მაშინ ახალგაზრდები სასოფლო-სამერნეო საქმიანობებს პოზიცტიურ ასოციაციებს უკავშირებენ;

ექსპერტების მოსაზრებით, რამდენადაც სოფლის მეურნეობაში პერსპექტიულად მიიჩნევა ის დარგები, რომელთაც გააჩნია ექსპორტის პოტენციალი, აუცილებელია იმ უნარებისა და თვისებების გამოყენება, რაც ახალგაზრდებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე გამოცდილ, ასაკით უფროს ფერმერებს. კერძოდ,

ახალგაზრდები უფრო მეტად არიან მოტივირებულები, უფრო მეტად აქვთ სიახლეების (განსაკუთრებით, ინოვაციური ტექნოლოგიების) მიმართ მიმღებლობა, უკეთესად ფლობენ კომუნკაციის საშუალებებს და ა.შ;

კვლევა აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობაში იმ დარგების მიმართ არსებობს ახალგაზრდების მიმღებლობა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას. მაგალითად, მევენახეობის შემთხვევაში შესაძლებელია ყურძნის მოყვანა, ღვინის დაყენება და არყის გამოხდა. შესაბამისად, სამი სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაცია უფრო მეტი შემოსავლის წყაროა, ვიდრე ერთი კონკრეტული პროდუქტის წარმოება. იგივე ეხება მეფუტკრეობასაც, სადაც შესაძლებელია თაფლის დამზადება, არყის დაყენება, სხვადასხვა მცენარეული მედიკამენტის წარმოება და ა.შ.

ახალგაზრდებმა მეტ-ნაკლებად იციან, თუ რა პრობლემები და გამოწვევებია სოფლის მეურნეობის სექტორში, თუმცა, ნაკლებად აქვთ წარმოდგენა, თუ რა გზებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი არსებული პრობლემების მოგვარება. ამიტომ, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების პრეტენზიების მთავარი ადრესატი სახელმწიფოა, რომელმაც პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს და ფერმერებს შესთავაზოს არსებული პრობლემების მოგვარების ალტერნატიული გზები;

მიუხედავად იმისა, რომ რურალური სივრციდან ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდები უშუალოდ არ არიან აგრარულ საქმეებთან დაკავშირებულები, ისინი მაინც დამოკიდებული არიან სოფლის მეურნეობიდან მიღებულ პროდუქციაზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე. ქალაქში მიგრირებულ ახალგაზრდებს ოჯახის წევრები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ამარაგებენ და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული

ფულადი რესურსით ეხმარებიან, რაც ხმარდება სხვადასხვა საჭიროებას, მაგალითად, სწავლის გადასახადის გასტუმრებას;

თვით სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებიც კი ნაკლებად არიან ჩართულები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. ამის მიზეზად შემდეგი ფაქტორები დასახელდა: 1. სასოფლო-სამეურნეო დარგების უპერსპექტივობა, 2. არაპრესტიჟულობა, 3. მძიმე ფიზიკური შრომის აუცილებლობა და 4. სოფლის მეურნეობის მიმართ ინტერესის არქონა;

იმ ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებიც გარკვეული დოზით მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში, მათ ჩართულობას განაპირობებს ოჯახების წინაშე აღებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს ოჯახების ყოველდღიური მატერიალური არსებობისთვის აუცილებელ შრომას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებისთვის საჭირო ფიზიკური შრომის ჩათვლით;

ახალგაზრდების ის ნაწილი, ვინც აქტიურადაა ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში, ის აქტორებია, რომელთა ოჯახებიც ტრადიციულად და წარმატებით მისდევენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს და რომელთათვისაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ერთვებიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც დააგროვეს გარკვეული პროფესიული ცოდნა და საქმიანობის დასაწყებად გააჩნიათ ფინანსური კაპიტალი; ქალაქში მცხოვრები (მათ შორის, ქალაქში დასაქმებული) ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობა გამოიხატება: ა) ოჯახის წევრების დახმარებაში თავისუფალ დროს - შაბათ-კვირას, ან უქმე დღეებში; ბ) ოჯახისთვის ხელის გამართვაში, როცა ახალგაზრდის დახმარება ოჯახისთვის მნიშვნელოვანია, მაგალითად მოსავლის აღების დროს, მოსავლის დაბინავებისას და ა.შ; გ) ახალგაზრდის მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერაში, მაგალითად,

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოვლისთვის საჭირო რესურსების მობილიზაციისათვის; დ) ოჯახის წევრების მორალურ და ემოციურ მხარდაჭერაში;

კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება ის საჭიროებები, რაც ფერმერებს აქვთ, სოფლის მეურნეობა ვერ გახდება პერსპექტიული და საინტერესო ახალგაზრდებისთვის. კვლევის ფარგლებში დასახელდა ის ფაქტორები, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას: 1. იმპორტირებული პროდუქციის სიიაფე, რაც ართულებს ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში რეალიზაციას; 2. არასტაბილური ფასები, რაც ხელს უშლის ფერმერს საქმიანობის დაგეგმვასა და ადეკვატური მოლოდინების ქონაში; 3. გარეშე რისკ ფაქტორები, რასაც ფერმერი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება (ცუდი კლიმატური პირობები, მწერების მიერ მოსავლის გაფუჭება და ა.შ.); 4. პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები; 5. სარწყავი სისტემის პრობლემა; 6. ფინანსური რესურსების სიმცირე; 7. ფერმერის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სიმცირე; 8. სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ყურადღება ფერმერების მიმართ; 9. ბანკებიდან აღებული სესხების დაფარვის ტვირთი; ექპერტებთან, დამატებით, შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: 1. ფერმერებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლების ნაკლებობა; 2. ნაკლები ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან სოფლების ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის; 3. ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი და დისტრიბუციასთან დაკავშირებული პრობლემები; 4. სამაცივრე მეურნეობების სიმცირე/არარსებობა; 5. ფერმერული მეურნეობების არასაკმარისი დივერსიფიკაცია;

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები ადასტურებენ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მათი ოჯახების

შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს ოჯახი ვერ დაეყრდნობა, ამიტომ, აუცილებელია, რომ ოჯახის რომელიმე წევრს, ან წევრებს გააჩნდეთ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები; ის, თუ რამდენად არის სოფლის მეურნეობა შემოსავლის ძირითადი, ან დამხარე წყარო, დამოკიდებულია პროდუქციის მოსავლიანობაზე, პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებზე, პროდუქციის ფასზე და სხვ.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილს (როგორც სოფლის მაცხოვრებლებს, ისე ქალაქში მიგრირებულებს) აქვს ინფორმაცია, ან პირადად იცნობს იმ წარმატებულ ახალგაზრდებს, რომლებიც სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები; ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრებები, რომ სოფლის მეურნეობაში წარმატებას აღწევენ ის ახალგაზრდები, რომელთაც ეხმარებიან მშობლები, მემკვიდრეობით იღებენ ქონებას, ან გააჩნიათ საფუძვლიანი განათლება სოფლის მეურნეობაში; ექსპერტებმა, დამატებით, აღინიშნეს, რომ წარმატებულია ის ახალგაზრდა ფერმერი, ვინც კვალიფიკაციას სხვა ფერმერებთან კომუნიკაციით იმყარებს, ახერხებს ხარისხის აღმნიშვნელი სერტიფიკატის მიღებას, პროდუქცია გააქვს ექსპორტზე, მუდმივად ეძებს სიახლეებს და ა.შ.

ყველა რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდებმა (როგორც ქალაქში, ისე სოფლად მაცხოვრებლებმა) აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებში სასოფლო- სამეურნეო საქმიანობა ნაკლებად, ან თითქმის არ არის პრესტიჟული. მთავარი ფაქტორი, რაც, მათი აზრით, სოფლის მეურნეობის არაპრესტიჟულობას განაპირობებს, სოფლის მეურნეობის დარგების უპერსპექტივობაა ფინანსური წარმატების მიღწევის თვალსაზრისით. დასახელდა სოფლის მეურნეობის არაპრესტიჟულობის სხვა მიზეზებიც: მშობლების/ოჯახის უფროსი წევრების ნეგატიური დამოკიდებულება შვილის

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულობასთან დაკავშირებით; მძიმე ფიზიკური შრომა, რაც გამოკითხულთა აზრით აუცილებელია სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანისთვის; სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიმართ მოსახლეობაში არსებული სტერეოტიპები; თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტებმა აღნიშნეს ისიც, რომ მშობლების დამოკიდებულება ბოლო წლების განმავლობაში იცვლება და უფრო მეტ მშობელს სურს, რომ ახალგაზრდას გაუჩნდეს სოფლის საქმისადმი ინტერესი;

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობაში უპერსპექტივობის განცდა ახალგაზრდებს აიძულებთ ეძებონ ალტერნატიული გზები, რათა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია. ამ მხრივ, საუკეთესო გამოსავლად ქალაქში მიგრირება ესახებათ, სადაც სტაბილური სამუშაოს პოვნის შანსები უფრო მეტია. კვლევაში ახალგაზრდების ქალაქში მიგრაციის სხვა მიზეზებიც დასახელდა: უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, სოფლებში აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა, სოციალური კავშირები და სხვა;

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური), 2016 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი ახალგაზრდებში იყო დაახლოებით 20-30%. ეს კი მნიშვნელოვნად მაღალია ქვეყნის უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (დაახლოებით 11%). აღსანიშნავია, რომ დაქირვებული სამუშაო ძალის მხოლოდ 30% ცხოვრობს სოფლად. ერთი მხრივ, მცირე მასშტაბიანი სამეურნეო საქმიანობის არამომგებიანობის და, მეორე მხრივ, ეფექტური ალტერნატივების სიმცირის გამო, ახალგაზრდები მიგრირდებიან ურბანულ სივრცეებში (უმეტესწილად დედაქალაქში) და საზღვარგარეთ;

ექსპერტების მოსაზრებით, ახალგაზრდებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართ ინტერესის გაჩენისა და ამ სფეროში საქმიანობის დაწყების სურვილის შემთხვევაში, უნდა შეეძლოთ ლოკალურად, საკუთარ

საცხოვრებელთან ახლოს პროფესიული განათლების მიღება. ამას კი შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა სჭირდება, რომლებიც ახალგაზრდებს საბაზისო უნარებისა და ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ მსურველებს, სახელმწიფოს დახმარებით, შესაძლებლობა აქვთ აგრარულ ფაკულტეტზე უფასოდ ისწავლონ, და, აგრეთვე, რამდენიმე პროფესიული სასწავლებელიც არსებობს საქართველოს რეგიონებში, განათლების ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობაში კვლავ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის;

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის სექტორში შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა: სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები დაინერგა სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტოს (AMPA) მეშვეობით, შეიქმნა სოფლის მეურნეობის კოოპერაციები განვითარების სააგენტო (2013) მიიღებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 (2015), და კანონი მთიანი რეგიონების შესახებ (2015), 2017 წელს შემუშავდა სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კუთხით დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელედა არაერთი პროექტი; დონორ ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია: World Vision, People In Need, Red Cross, Peace Corps Georgia, Europe Foundations და სხვები.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის აქტივობები და ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. ესენია: ა) სოფლებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამების, ტექნოლოგიური სიახლეების, პროდუქციის მოყვანისა და რეალიზაციის გზების, განათლების მიღების შესაძლებლობების და ა.შ. შესახებ; ბ) აგრარული განათლების მიღების შემდეგ, დასაქმებაში ხელშეწყობა ე.წ „სტარტაპების“ უზრუნველყოფის, შეღავათიანი კრედიტების გაცემის და სხვ.

მეშვეობით; გ) პრაქტიკულ საქმიანობებში ახალგაზრდების ჩართვა, რაც, მაგალითად, გულისხმობს ფერმერულ მეურნეობებში სტაჟირებების გავლას და გამოცდილების შეძენას; დ) ახალგაზრდებისთვის ფერმერული პრაქტიკების წარმატებული მაგალითების ჩვენება; ე) ფერმერების საჭიროებების შესწავლა და ა.შ; სოფლის მეურნეობის სექტორში სიტუაციის უკეთეობისკენ შეცვლის შემთხვევაში, ახალგაზრდებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში ჩართვის მზაობა ექნებათ.

ფოკუს ჯგუფების მონაწილე, ქალაქში მიგრირებული ახალგაზრდების მცირე ნაწილი გამორიცხავს სოფელში დაბრუნებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სოფლებში მათთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება; ხოლო, ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ის ნაწილი, ვინც სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის შემთხვევაში, ინტერესი გამოხატავს სოფლის მეურნეობის მიმართ, ფიქრობს, რომ ქალაქის მიტოვების გარეშეც შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ჩართვა;

სოფლებში მცხოვრები ოჯახების ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა ახალგაზრდებმა შეაფასეს როგორც საშუალოზე დაბალი, რაც იმაში გამოიხატება, რომ სოფლის მოსახლეობას შეუძლია დაიკმაყოფილოს ძირითადი მოთხოვნილებები, მაგალითად, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, შეიძინოს აუცილებელი სურსათი; თუმცა არ ხელეწიფებათ შეიძინონ შედრებით ძვირადღირებული საგნები, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა და ა.შ. თუმცა, რესპონდენტების შეფასებით, თანდათან მრავლდება ისეთი სოფლებიც, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება და, შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უმჯობესდება (ასეთია, მაგალითად, სოფელი „გოდერძი“ აჭარაში);

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასებები და დამოკიდებულებები განსხვავდება

ახალგაზრდების გამოცდილების შინაარსის მიხედვით: ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელსაც უსარგებლია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით გაცემული გრანტებით, ან მონაწილეობა მიუღია ამ სფეროში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და, შესაბამისად, გარკვეული სარგებელი მიუღია, არსებულ მდგომარეობას მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებს; თუმცა ისინი, ვინც არ მონაწილეობს საქმიანობის ამ სფეროში, ან მონაწილეობს, მაგრამ სარგებელს ვერ ნახულობს, ნეიტრალურ ან ნეგატიურ შეფასებებს გამოთქვამს.

რესპოდნენტების ნაწილი ამბობს, რომ სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერები, ისევე როგორც არსებული პროგრამები („აწარმოე საქართველოში “, „დანერგე მომავალი“ და ა. შ.) არის ძალიან კარგი, თუმცა, არასაკმარისი რესურსი ამ სფეროში აქტივობების გასაძლიერებლად. ახალგაზრდები განიცდიან ინფორმაციის სიმწირეს და მიაჩნიათ, რომ როგორც სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ისე არაფორმალური განათლების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებთან მიმართებით.

კვლევაში მონაწილე ახლაგაზრდებიც და ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ახალგაზრდებმა სოფლის მეურნეობის სექტორში უნდა შეასრულონ განსაკუთრებული როლი, რაც განპირობებულია მათ მიერ ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობით, ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელ ამბიციურობით, სიახლეების მოპოვებისა და მათი მარტივად ათვისების ჩვევებით, ინიციატივიანობით, სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებში ადვილად გარკვევის უნარით და სხვ.

რეკომენდაციები

- ახალგაზრდობის ჩართვის გაძლიერებისთვის, აუცილებელია წახალისდეს და ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის იმ დარგებს, რომელთაც აქვთ ექსპორტის პოტენციალი, სადაც ინოვაციური ტექნოლოგიები გამოიყენება და, აგრეთვე, იმ დარგებს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროდუქციის რეალზიაციის შესაძლებლობას (მაგალითად, მეფუტკრეობა, მევენახეობა და ა.შ.);
- ახალგაზრდები საჭიროებენ სოფლის მეურნეობის არსებული დარგების რევიზია/რესტრუქტურიზაციაში და ახალი დარგების შერჩევაში დახმარებას, რათა მათი საქმიანობა კონკურენტული და წარმატებული გახდეს ბაზარზე;
- იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა გახდეს პერსპექტიული და საინტერესო დარგი ახალგაზრდებისთვის, აუცილებელია დაიძლიოს ის პრობლემები, რაც ფერმერებს აქვთ. კერძოდ, ფერმერებს დახმარება ესაჭიროებათ შემდეგი მიმართულებით:

  ა) პროდუქციის გასაღების ბაზრის მოძიება;

  ბ) გარეშე რისკ-ფაქტორების (ცუდი კლიმატური პირობები, მავნე მწერების ზემოქმედება და ა.შ.) ნეგატიური შედეგების პრევენცია;

  გ) ახალგაზრდა ფერმერების იდეების დაფინანსების ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტის (ე.წ. სტარტაფების, გრანტები და სხვ.) საშუალებით;

  დ) სასოფლო დასახლებებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ლობირება, მაგალითად, სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურული დაწესებულებების, სარწყავი არხების, გზების და ა.შ. აშენება ან რეაბილიტაცია, რაც შეამცირებს სოფლიდან ქალაქში მიგრირებას;

ე) აგრარულ სფეროში იმ სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა, რომლებიც ფერმერებს, საჭიროების შემთხვევაში, მიაწვდიან ინფორმაციას და გაუწევენ კონსულტაციებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სიახლეებზე, რომლებიც შეეხება, მაგალითად, პროდუქციის მოყვანას, მოვლას, შხამ-ქიმიკატების გამოყენებას და ა.შ.

ვ) ხელშეწყობა ფერმერული საქმიანობის გაფართოებისთვის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაში, როგორებიცაა, მაგალითად, სამაცივრე მეურნეობის მოწყობა, საჭირო სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოებით მომარაგება და ა.შ.

- სოფლის მეურნეობას განვითარების პერსპექტივა აქვს ტურიზმის კონტექსტში, ამდენად, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა გაზრდის ახალგაზრდების დაინტერესებას და ჩართულობას სოფლის მეურნეობაში;
- პრიორიტეტული უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარება, სადაც ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა მეტია და ნაკლებია ფიზიკური დატვირთვის საჭიროება;
- მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა ფერმერებს ჰქონდეთ ინსტიტუციური სივრცე, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას, გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება სხვა ფერმერებს, ან დაინტერესებული პირებს, სადაც ჩატარდება ტრენინგები, ე.წ. ვორქ შოპები და სხვა აქტივობები სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე; ასეთი სივრცე შეასრულებს საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციასაც, სადაც ახალგაზრდა ფერმერებისთვის შეთავაზებული იქნება პრობლემების მოგვარების ალტერნატიული გზები.
- გამომდინარე იქედან, რომ მშობლების/ოჯახის უფროსი წევრების გავლენა შვილების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე საქმიანობის, პროფესიის და ა.შ. არჩევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, აუცილებელია, რომ

ინფორმაციის გავრცელების სამიზნე ჯგუფი, ახალგაზრდებთან ერთად, მშობლებიც იყვნენ;

- იმისათვის, რომ ახალგაზრდები სოფლად დარჩენენ და არ მიგრირდნენ ქალაქში, საჭიროა დამსაქმებლების დაინტერესება ახალგაზრდების პოტენციალით, მათი პროფესიული მომზადების საფუძველზე;
- ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ ლოკალურად, საკუთარ საცხოვრებელთან ახლოს პროფესიული განათლების მიღება. ამისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრების არსებობაა საჭირო, რომლებიც ახალგაზრდებს აგრარული საქმიანობის საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება;
- ახალგაზრდების ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში ხელს შეუწყობს შემდეგი აქტივობები:

  ა) სოფლებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამების, ტექნოლოგიური სიახლეების, პროდუქციის მოყვანისა და რეალიზაციის გზების, განათლების მიღების შესაძლებლობების და ა.შ. შესახებ;

  ბ) აგრარული განათლების მიღების შემდეგ, დასაქმებაში ხელშეწყობა ე.წ „სტარტაპების“ უზრუნველყოფის, შეღავათიანი კრედიტების გაცემის და სხვ. მეშვეობით;

  გ) პრაქტიკულ საქმიანობებში ახალგაზრდების ჩართვა, რაც გულისხმობს, მაგალითად, ფერმერულ მეურნეობებში სტაჟირებების გავლასა და გამოცდილების შეძენას;

  დ) ახალგაზრდებისთვის ფერმერული პრაქტიკების წარმატებული მაგალითების გაცნობა;

  ე) ფერმერების საჭიროებების პერმანენტული შესწავლა სოციალური კვლევის სხვადასხვა მეთოდის (ფოკუს ჯგუფი, გამოკითხვა, დაკვირვება და ა.შ.) გამოყენებით;

ვ) სოფლის მეურნეობაში არსებული პროგრამების, პროექტების, სიახლეებისა და ა.შ. ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგალითად, ჩაიხანებში მუსლიმურ დასახლებებში), რაც ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდის ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, ასაკით უფროსი ადამიანებისთვის, რომლებიც ინტერნეტისა და სოციალური ქსელების არატიპური მომხმარებლები არიან;

ზ) სოფლის მეურნეობაში არსებული პროგრამების, პროექტების, სიახლეებისა და ა.შ. შესახებ ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტით, რომლის სამიზნე ჯგუფი იქნებიან ახალგაზრდები, როგორც სოციალური ქსელების და სხვადასხვა ვებ-გვერდების აქტიური მომხმარებლები;

თ) სადემონსტრაციო ნაკვეთების ჩვენება და ტექნოლოგიების გაცნობა ახალგაზრდებისთვის, რაც კიდევ ერთი გზაა, რომ ახალგაზრდები გაეცნონ სოფლის მეურნეობის ხვადასხვა დარგებს და გაუჩნდეთ აგრარულ საქმიანობებში ჩართვის სურვილი;

- როგორც სკოლებისა და უნივერსიტეტების, ისე არაფორმალური განათლების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #92 „ახალგაზრდობის სახელმწიფომხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/114682

საქართველოში სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო - 2020“ (2014) - http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020) - http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924373

ევროკავშირის სოფლის განვითარების პროგრამა 2014 -2020 - https://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020_en

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429

ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში UNICEF, 2014 - http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgia.pdf

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა - http://msy.gov.ge/files/111/Sajaro%20Informacia/_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90_2015.pdf

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020) - http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1

-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2017-2020.pdf

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის - http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 - file:///C:/Users/Ochi/Downloads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf Castells M. (2011)

Castells M. (2010) The Rise of the Network Society https://deterritorialinvestigations.files.wordpress.com/2015/03/manuel_castells_the_rise_of_the_network_societybookfi-org.pdf

Wirth, L. (1938). Urbanism as a Way of Life. The American Journal of Sociology. http://www.sjsu.edu/people/saul.cohn/courses/city/s0/27681191Wirth.pdf

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის შესახებ (2015) - http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - www.acda.gov.ge

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო - www.APMA.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.Geostat.ge

ახალგაზრდობის კვლევა საქართველოში - 2016; ფრიდრიხ ებერტის ფონდი http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf